სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში

სარჩევი

მთავარი შრომის ინსპექტორის მიმართვა 4

2024 წლის საქმიანობის შემაჯამებელი მიმოხილვა 5

თავი 1. შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტები 9

1.1 შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების მიმოხილვა 9

1.2 შრომის კანონმდებლობაში 2024 წელს განხორციელებული ცვლილებები/სიახლეები 111

თავი 2. სამსახურის სტრუქტურული და ადამიანური რესურსების მიმოხილვა 15

2.1 შრომის ინსპექციის სამსახურის სტრუქტურული მიმოხილვა 15

2.2 შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთა შესახებ ინფორმაცია 15

2.3 თანამშრომელთა პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით განხორციელებული საქმიანობის შესახებ 16

2.3.1 შრომის ინსპექციის სამსახურის შიდა ტრენინგები 18

2.3.2 ტრენერთა ტრენინგი (TOT) და ტრენინგების სერია რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ამოცნობის საკითხებში 18

2.3.3 ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის ტრენინგების სერია 19

2.3.4 ტრენინგების სერია - დამარწმუნებელი კომუნიკაცია და მენეჯერული უნარების განვითარება 20

2.3.5 ტრენინგების სერია სამართლიანი და ეთიკური დასაქმების შესახებ 20

2.3.6 ტრენინგი „შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანით ვაჭრობის ფსიქო-სოციალური ასპექტები და ეფექტური კომუნიკაცია ადამიანით ვაჭრობის შესაძლო მსხვერპლებთან“ 21

თავი 3. მანდატის ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია 22

3.1 შრომის უსაფრთხოების ნორმებზე განხორციელებული ზედამხედველობა 23

3.2 შრომით უფლებებზე განხორციელებული ზედამხედველობის მიმოხილვა 29

3.2.1 „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონზე განხორციელებული ზედამხედველობის შედეგები 35

3.2.2 შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის ამკრძალავ ნორმებზე ზედამხედველობა 36

3.2.3 18 წლამდე პირთა მიმართ გამოვლენილი შრომითი ნორმების დარღვევები 39

3.2.4 იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები 42

თავი 4. სამართალდარღვევის ოქმების შედგენისა და ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში გასაჩივრების პროცესისა და შედეგების მიმოხილვა 43

4.1 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წარმოებისას შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის ძირითადი დებულებები 43

4.2 2024 წელს სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდრღვევის ოქმები (სრულად) და გასაჩივრებული ოქმების სტატისტიკური ანალიზი 45

თავი 5. სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევები 50

თავი 6. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამაზე ზედამხედველობა 62

6.1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციებისა და საგამოცდო ცენტრების შესახებ 62

6.2 სასერტიფიკატო გამოცდების შედეგები 63

6.3 საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგები 67

თავი 7. ცნობიერების ამაღლების მიმართულებით გატარებული ღონისძიებები 70

7.1 საინფორმაციო შეხვედრები 71

7.2 საინფორმაციო ვიდეო რგოლები 71

7.3 ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა 73

7.4 პუბლიკაციები 73

7.5 საინფორმაციო ბუკლეტები 74

7.6 იმერეთის რეგიონული ოფისის გახსნა 75

7.7 სამსახურის ცხელი ხაზის (15-75) საქმიანობის შედეგები 76

თავი 8. სამომავლო გეგმები 81

დანართი 82

მთავარი შრომის ინსპექტორის მიმართვა

ადამიანის უფლებები უზენაესია, მისი აღსრულება კი ვალი და პატივია ჩემთვის, შრომის ინსპექციის სამსახურის ხელმძღვანელისა და ამ უწყების რიგითი მოხელისთვის.

„ყველას აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, სამართლიანი და ხელსაყრელი სამუშაო პირობების ქონის უფლება“ - ეს ამონარიდია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან. ეს არის ფრაზა, რომელსაც თითოეული ჩვენგანი ვემსახურებით, ფრაზა, რომელიც ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის დევიზად და მიზნად იქცა.

დიახ, მიზნად, რომელსაც თითოეული მოქალაქისთვის თანაბარი და ღირსეული შრომის პირობების შექმნა ჰქვია, რეგულაციები თუ შრომითი ნორმები, რომელსაც საკანონმდებლო სისტემასა და ყოველდღიურობაში ვნერგავთ სწორედ ადამიანის უფლებების დაცვასა და მის კეთილდღეობას ემსახურება.

2024-ში არაერთი ნაბიჯი გადაიდგა ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების გასაუმჯობესებლად. წინ ბევრი გეგმაა - შენი შრომის უფლებისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის!

2024 წლის საქმიანობის შემაჯამებელი მიმოხილვა

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შრომის ნორმების საერთაშორისო სტანდარტარტებთან დაახლოებისა და ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების კულტურისა თუ ღირსეული შრომის პრინციპების დამკვიდრების მიზნით მრავალი წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა, რაც შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ მოპოვებული და დამუშავებული მონაცემების გათვალისწინებით საშუალებას გვაძლევს, რომ გატარებული რეფორმებისა და შრომის კანონმდებლობის აღსრულების ეფექტიანობაზე ვისაუბროთ. მათ შორის, აღსანიშნავია უწყების ინსტიტუციური განვითარების გზაზე შრომის ინსპექციის სამსახურის მხრიდან დასახული პრიორიტეტული ამოცანების ეფექტური აღსრულება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გამოიყოს პროაქტიული ღონისძიებებიდან **გეგმურად შემოწმებული ობიექტების მაჩვენებელი** (სრულად შემოწმებული ობიექტებიდან გეგმურად შემოწმებული ობიექტების %), რომელიც 2024 წელს 2021 წელთან შედარებით გაზრდილია 1,2-ჯერ.

აქვე აღსანიშნავია 2021 წლიდან სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების/დადგენილებების **გასაჩივრების მიმართულებაც, რომლის ფარგლებშიც სამსახურის მიერ შეგროვებული/დამუშავებული მონაცემებიდან გამომდინარე გასაჩივრების მაჩვენებელი ხასიათდება კლების ტენდენციით (2021წელს -14% ; 2022 წელს - 7%; 2023 წელს - 5%; 2024 წელს-5%.).**

რაც შეეხება, 2024 წლის საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ განხორციელებული ზედამხედველობის შედეგებს, ცნობიერების ამაღლების მიზნებისთვის გატარებულ ძირითად ღონისძიებებსა და შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამის მართვის მიზნით გაწეულ საქმიანობას:

„შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების აღსრულებაზე განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში **ჩატარებულ იქნა 5406 აქტივობა 3191 ობიექტზე**, მათ შორის:

- **შრომის უსაფრთხოების ნორმებზე ზედამხედველობის მიმართულებით** ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად **3201** ინსპექტირება (პირველადი და შემდგომი, დარღვევების სრულ გამოსწორებამდე) განხორციელდა. განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში პირველადი ინსპექტირებების შედეგად შემოწმდა **1901** ობიექტი, **მათ შორის, აღსანიშნავია, რომ:**
  - **განხორციელებული ინსპექტირებები შეეხო 84 157-მდე დასაქმებულ პირს;**
  - გაიცა **20 081 მითითება;**
  - ჯამში შედგა **2279 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.**
  - გეგმურად შემოწმებული ობიექტების მაჩვენებელი (სრულად შემოწმებული ობიექტებიდან გეგმურად შემოწმებული ობიექტების %), რომელიც 2024 წელს 2021 წელთან შედარებით გაზრდილია 1,2-ჯერ (2021 წელს - 58%; 2022 წელს - 67%; 2023 წელს-57%; 2024 წელს-68%), რაც შესაბამისობაში მოდის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტრატეგიული შესაბამისობის მოდელის მიზანთან;
  - შრომის უსაფრთხოების ნორმებზე ზედამხედველობის მიმართულებით განხორციელებული ინსპექტირებების ფონზე მნიშვნელოვნადაა შემცირებული **ადმინისტრაციული სახდელის**

სახედ ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი: 2024 წელს 2022 წელთან შედარებით შემცირებულია 11 %-ით, 2023 წელთან შედარებით 6%-ით.

- 2024 წელს საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად **აღრიცხული ინციდენტების რაოდენობა** შემცირებულია: 24%-ით 2023 წელთან შედარებით; 21%-ით 2022 წელთან შედარებით. ამასთან 2024 წელს საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად **მძიმედ დაშავებულ დასაქმებულთა რაოდენობა** 25%-ითაა შემცირებული 2023 წელთან შედარებით; 18%-ითაა შემცირებული 2022 წელთან შედარებით; ხოლო **საშუალო სიმძიმით დაშავებულ დასაქმებულთა რაოდენობა** 2024 წელს შემცირებულია: 26%-ით 2023 წელთან შედარებით; 24%-ით 2022 წელთან შედარებით.

აქვე აღსანიშნავია, რომ **მიუხედავად აქტიური ბიზნეს სუბიექტებისა და დასაქმებულთა რაოდენობების ზრდისა, პირდაპირპროპორციულადაა შემცირებული სამუშაო სივრცეში მომხდარი ინციდენტების რაოდენობა და შესაბამისად ინციდენტობის მაჩვენებელი.**

- **შრომით უფლებებზე ზედამხედველობის მიმართულებით** საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-ს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' საქართველოს კანონისა და „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით, სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის №112 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს მასშტაბით ჩატარდა **2205 აქტივობა** (პირველადი და შემდგომი ინსპექტირება დარღვევების აღმოფხვრამდე,), რომელმაც **პირველადი ინსპექტირებისა და მონიტორინგის ფარგლებში მოიცვა 1290 ობიექტი.** ზედამხედველობის შედეგად:

  - **განხორციელებული ინსპექტირებები შეეხო 29 702-მდე დასაქმებულ პირს;**
  - გაიცა **2934 მითითება,** რომლისთვისაც ჯამში შედგა **920 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და ობიექტზე დარღვევების არარსებობის გამო საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ შედგენილ იქნა 316 დადგენილება**
  - წერილობითი და ზეპირი კონსულტაცია შრომით უფლებებთან დაკავშირებით გაეწია **632 დაინტერესებულ პირს**.
  - სამუშაო ადგილებზე, როგორც წინასახელშეკრულებო, ასევე, მიმდინარე, თუ დასრულებულ შრომით ურთიერთობებში **დისკრიმინაციული მოპყრობა ჯამში დადგენილ იქნა 72 სუბიექტის** მიმართ. მათგან დასაქმებული პირის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა დადგენილ იქნა 5 შემთხვევაში, ხოლო წინასახელშეკრულებო ეტაპზე, კერძოდ ვაკანსიის გამოქვეყნებისას, პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის დარღვევა დადგენილ იქნა 67 ობიექტის/სამუშაო ადგილის მიმართ. გარდა ამისა, როგორც მიმდინარე, ასევე დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით, არაჯანსაღი ან/და მტრული სამუშაო გარემოს არსებობა, ასევე, დამსაქმებლის მხრიდან **დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებების პრაქტიკაში აღსრულების გამოწვევები, გამოვლინდა 14 სუბიექტის მიმართ**.
  - 18 წლამდე არასრულწლოვანის შრომითი უფლებების აღსრულებაზე ზედამხედველობის შედეგად, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ნორმების დარღვევა გამოვლინდა **9 სამუშაო ადგილზე 30 არასრულწლოვანთან მიმართებით**. მათ შორის:

- საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ განსაზღვრული ნორმების დარღვევა **7 სამუშაო ადგილზე, 28 არასრულწლოვანთან მიმართებით;**
- საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მეხუთე მუხლის მეექვსე პუნქტის დარღვევა **2 სამუშაო ადგილზე, 2 არასრულწლოვანთან მიმართებით;**

☐ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით განსაზღვრული მინიმალური საათობრივი ანაზღაურების საკითხის შემოწმების ნაწილში განხორციელდა **255 სამედიცინო დაწესებულების გეგმური ინსპექტირება**.

☐ „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების (შემდგომ – შრომითი ნორმები) ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად განხორციელდა 120 ინსპექტირება (როგორც პირველადი ასევე შემდგომი), რომლის შედეგად პირველადად შემოწმდა **91 ადგილობრივი დამსაქმებელი/ობიექტი.** ასევე, საშუამავლო კომპანიის მიერ საქართველოს ფარგლების გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციისა და სერტიფიცირების ზედამხედველობის ფარგლებში, განხორციელდა **17 მონიტორინგი.**

☐ **იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით** საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ზედამხედველობა სამსახურის მიერ დამტკიცებულ 300 ობიექტზე, რომლეთაგან ინსპექტირება განხორცილედა **195 ობიექტზე,** აღნიშნული ობიექტებიდან 192 იყო გეგმური, ხოლო, 3 არაგეგმური.

შრომით ნორმებზე **საზოგადოების, განსაკუთრებით კი დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების ფარგლებში**:

☐ განხორციელდა 525 საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრა, მათ შორის:

- 37 სამუშაო შეხვედრა - ადგილობრივ და საერთაშორისო უწყებებთან/ორგანიზაციებთან;
- 8 საინფორმაციო შეხვედრა - ზოგადად სამსახურის საქმიანობის შესახებ;
- 2 საინფორმაციო შეხვედრა - სტუდენტებთან ზოგადად სამსახურის საქმიანობის შესახებ;
- 181 ობიექტზე - შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიმართულებით ცნობიერების ამაღლების ფარგლებში განხორციელდა ვიზიტი ქვეყანაში ოპერირებად დამსაქმებელთან;
- 297 ობიექტზე - წინასაახალწლო დღეებში შრომითი უფლებების ეფექტურად აღსრულების მიზნით ცნობიერების ამაღლების ფარგლებში, სამუშაო დროსთან და ზეგანაკვეთურ შრომასთან დაკავშირებით განხორციელდა ვიზიტი ოპერირებად დამსაქმებელთან. აქვე, აღსანიშია, რომ სამსახურის მიერ ჯამში მომზადდა და გაიგზავნა 186 სარეკომენდაციო წერილი.

☐ მომზადდა 49 საინფორმაციო მასალა, მათ შორის:

- 12 საინფორმაციო ვიდეორგოლი, რომელიც გასაჯაროვდა ტელევიზიების, სოციალური ქსელებისა და სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით;
- 17 საინფორმაციო ბუკლეტის ტექსტი, რომელთაგან დაიბეჭდა/გამოქვეყნდა 4 თემატური ბუკლეტი, რომლის გავრცელება განხორციელდება 2025 წელს.
- 3 სახელმძღვანელო დოკუმენტზე მუშაობა დასრულდა, რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე;

- 17 ნორმატიული აქტი ითარგმნა ინგლისურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და გამოქვეყნდა სამსახურის ვებგვერდზე;

- ☐ მომზადდა ელექტრონული სასწავლო კურსი შრომის უსაფრთხოების თემატურ საკითხზე (დასაქმებული ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალებისთვის მავნე ან/და განსაკუთრებული რისკის შემცველი სამუშაო გარემოს შეფსების შესახებ), რომელიც ტექნიკური მოთხოვნების სრულყოფის შესაბამისად 2025 წელს იქნება ხელმისაწვდომი შრომის ინსპექტორებისა და საზოგადოებისთვის;
- ☐ **სამსახურის საკონსულტაციო ცენტრის/ცხელი ხაზის (1575) მიერ კონსულტაცია გაეწია 12 145 შემომავალს ზარს.**

გარდა ზემოხსენებული აქტივობებისა, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე ზედახედველობის ფარგლებში:

- ☐ ფუნქციონირებს 3 აკრედიტებული საგამოცდო ცენტრი;
- ☐ სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის სტატუსი მიენიჭა 22 ორგანიზაციას (29 სხვადასხვა ლოკაციაზე);
- ☐ აქტიურად ფუნქციონირებს სიმულაციური გამოცდის პორტალი: https://oshtesting.moh.gov.ge/iExam/public/exam
- ☐ ვებგვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომია სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციებისა და უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია.

თავი 1. შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტები

1.1 შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შრომის ინსპექციის სამსახური არის „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე შექმნილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ფუნქციონირებს 2021 წლის პირველი იანვრიდან.

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მიზანია შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა. შესაბამისად, სამსახური, საკუთარი მანდატის ფარგლებში ახდენს იმ ძირითად მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე სახელმწიფო ზედამხედველობას, რომელიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებისა და შრომითი უფლებების ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფას, რაც თავის მხრივ, დაკავშირებულია შრომის თავისუფლებასთან, დასაქმებულთა და დამსაქმებელთა შორის ურთიერთობების კანონისმიერად, თანმიმდევრულად და სტაბილურად წარმართვასა და სამუშაო ადგილებზე/სივრცეში უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან.

სამუშაო სივრცეში/ადგილზე შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური იყენებს სხვადასხვა მექანიზმებს, მათ შორის, ახდენს:

- ✓ ობიექტის საქმიანობის შემოწმებას გეგმური ან არაგეგმური ინსპექტირების ფარგლებში;
- ✓ უზრუნველყოფს შრომითი ნორმების შესრულებასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევას;
- ✓ შრომითი ნორმების დაცვის ხელშემწყობი ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდებას;
- ✓ ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო კამპანიებისა და სხვა ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას;
- ✓ შრომითი ნორმების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრების მიღებასა და განხილვას;
- ✓ საქართველოს შრომის კანონმდებლობის დასახვეწად და მისი გამოყენების გასაუმჯობესებლად წინადადებების შემუშავებას.

როგორც აღნიშნა, სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურმა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა, საქმიანობა დაიწყო 2021 წლის 1 იანვრიდან და მას შემდეგ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა მისი ინსტიტუციონალური ჩამოყალიბებისა და გაძლიერების კუთხით. მათ შორის, აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულების შრომის ინსპექციის სამსახურის მანდატის ქვეშ გაერთიანება, როგორიცაა:

- 2023 წელს გატარებული რეფორმა, რომლის ფარგლებშიც სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური ახორციელებს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით განსაზღვრულ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ სამედიცინო



დაწესებულებებში დასაქმებულთა (ექიმი, ექთანი) საათობრივი ანაზღაურების საკითხებზე ზედამხედველობას. 2024 წელს აღნიშნული პროფესიების ჩამონათვალი გაფართოვდა და მოიცვა უმცროსი ექიმის, ექთნის თანაშემწის, ბებიაქალის, მინიმალური საათობრივი შრომის ანაზღაურება. გარდა ამისა, ამავე წლიდან მანდატს დაემატა დავალიანების მქონე სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებულთათვის შრომის ანაზღაურების(დავალიანების) შეუფერხებლად დაფარვის შესაძლებლობა სპეციალურ ანგარიშზე თანხის ერთჯერადად ჩარიცხვის გზით, რაც კიდევ უფრო მოქნილს ხდის დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის უზრუნველყოფას;

- სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ, 2023 წლის პირველი სექტემბრიდან, ზედამხედველობის განხორციელება „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმების აღსრულებაზე. აღნიშნული კომპონენტი დაკავშირებულია ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის პერიოდში შრომითი იმიგრანტის ძირითად უფლებებთან და გარანტიებთან, ასევე, საშუამავლო კომპანიის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან, ამ საქმიანობის სერტიფიცირებისათვის დადგენილი მოთხოვნებისა და შრომით ემიგრანტთან საქართველოში დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დაცვის უზრუნველყოფასთან. აღნიშნული მანდატის ფარგლებში არაერთი აქტივობა განხორციელდა 2024 წლის ფარგლებშიც, მათ შორის, აქტიური ზედამხედველობა (აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. მანდატის ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობის შედეგების შესაბამის ქვეთავში).

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონი არის სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის სადამფუძნებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზე (სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან ერთად) განსაზღვრულია შრომის ინსპექციის საქმიანობის ფარგლები, მიმართულებები, პროცედურები. საქმიანობის განხორციელებისას სამსახური, გარდა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტისა, ხელმძღვანელობს შემდეგი ნორმატიული აქტებით: საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონით, შრომის ინსპექციის სამსახურის დებულებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

აღსანიშნავია, რომ „შრომის ინსპექციის კანონი“ ადგენს არამხოლოდ შრომის ინსპექციის საქმიანობის

ფარგლებსა და პროცედურებს, ასევე, სამსახურის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, რომელიც ასევე ინტეგრირებულია სხვა საკანონმდებლო/კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, რომელსაც შრომის ინსპექციის სამსახური იყენებს მისი საქმიანობის განხორციელებისას. შესაბამისად, სამსახური, მისი თითოეული თანამშრომელი ხელმძღვანებლობს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- √ ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;
- √ კანონიერება;
- √ პროფესიონალიზმი;
- √ კონფიდენციალურობის დაცვა.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ გარდა დადგენილი პრინციპებისა, შრომის სამსახურის თითოეული თანამშრომელი, მისი საქმიანობის განხორციელებისას, ხელმძღვანელობს „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №200 დადგენილებით განსაზღვრული დებულებებით, ხოლო შრომის ინსპექტორებისთვის შემუშავებულია უფრო კონკრეტული, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით შექმნილი ქცევის წესები („შრომის ინსპექტორთა ქცევის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-10/ნ ბრძანება). შესაბამისად, შრომის ინსპექციის სამსახურის ნებისმიერი თანამშრომელი, განსაკუთრებით კი შრომითი ნორმების აღსრულებაზე უშუალო ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი (შრომის ინსპექტორი), კანონით განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში ხელმძღვანელობის სათანადო პრინციპებითა და ეთიკის მაღალი სტანდარტით.

შრომის კანონმდებლობასთან დაკავშირებული ნორმატიული/ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლის აღსრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს შრომის ინსპექციის სამსახური ხელმისაწვდომია სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე, შრომის კანონმდებლობის ბლოკში (lio.moh.gov.ge). აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლიდან ვებგვერდზე ატვირთული სამართლებრივი აქტების ნაწილი (17 მათგანი) ითარგმნა და ხელმისაწვდომია ინგლისურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

1.2 შრომის კანონმდებლობაში 2024 წელს განხორციელებული ცვლილებები/სიახლეები

2024 წელს შრომის ინსპექციის საქმიანობის განმსაზღვრელ აქტებში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. მოწესრიგდა და შეივსო ის ნორმატიული ბაზა, რომელზე მუშაობაც მიმდინარეობდა 2021-2023 წლებში.

2024 წლის განმავლობაში შრომის ინსპექციის სამსახური ჩართული იყო არაერთი სამუშაო ჯგუფის მუშაობის პროცესში, სადაც შრომით ნორმებთან მიმართებაში თოთოეულ ჩართულ მხარეს გაუზიარა როგორც არსებული სამართლებრივი ბაზის თაობაზე ინფორმაცია, ასევე, პრაქტიკული გამოცდილება და ამა თუ იმ ნორმის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ხედვა.

უშუალოდ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ, საანგარიშო პერიოდში შემუშავებული და წარდგენილი იქნა **3 ნორმატიული აქტის პროექტი,** მათ შორის:

- **„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.**

აღნიშნული პროექტის თანახმად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებას მიეცა შესაძლებლობა განცხადებით მიმართოს ზედამხედველ ორგანოს - სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურს და მისი თანხმობის საფუძველზე დაიწყოს სპეციალური საბანკო ანგარიშის გახსნის პროცედურები სამედიცინო პერსონალის (ამავე დადგენილების მე-20 მუხლის 5[4] პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამედიცინო პერსონალი) ვალდებულებების შესასრულებლად. აღსანიშნავია, რომ ცვლილებები ძალიან ეფექტური აღმოჩნდა სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით (მითითებით) განსაზღვრული თანხის (სახელფასო დავალიანების) უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, გარკვეულწილად გამარტივდა სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მექანიზმი და უშუალოდ სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების ბერკეტის გამოყენებით, უზრუნველყოფილ იქნა ჩარიცხული თანხის მხოლოდ სამედიცინო პერსონალის ანაზღაურების დანიშნულებით გამოყენება.

- **„სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №477 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.**

პროექტი მომზადებულ იქნა შრომის უსაფრთხოების საკითხების აქტუალურობიდან და სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების უფრო მეტად სრულყოფის მიზნებიდან გამომდინარე. ცვლილებები, რომელიც აღნიშნული პროექტით იქნა გათვალისწინებული, უკავშირდება ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად, შესაბამისი EN სტანდარტების მოთხოვნების შემოღებასა და დაცვას, სიმაღლეზე სამუშაოებისათვის განკუთვნილ ხარაჩოებთან და დამცავ მოაჯირებთან მიმართებით. მნიშვნელოვანი საკითხია EN სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად დამზადებულ/აწყობილ ხარაჩოსთან დაკავშირებით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომლის თანახმად, მითითებულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხარაჩოს უნდა გააჩნდეს შესაბამისი შესაბამისობის ტექნიკური დოკუმენტი.

აქვე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროექტით, ასევე, განისაზღვრა ვალდებულება, რომლის თანახმად, 2026 წლის პირველი იანვრიდან, სამუშაო სივრცეში განთავსებული და გამოყენებული უნდა იქნეს სიმაღლეზე სამუშაოებისათვის განკუთვნილი მხოლოდ ის ხარაჩო, რომელსაც გააჩნია EN სტანდარტთან შესაბამისობის ტექნიკური დოკუმენტი.

- **„ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი.**

2023 წლის 4 მაისს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) „კოვიდ 19“-თან დაკავშირებული გლობალური საგანგებო მდგომარეობა დასრულებულად გამოაცხადა, ხოლო 2023 წლის 4 ივლისის ძალადაკარგულად გამოცხადდა „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილება. შესაბამისად, მომზადდა წარმოდგენილი კანონპროექტი, რომლითაც გათვალისწინებულ იქნა ადმინისტრაციული სახდელისგან შესაბამისი პირების გათავისუფლება.

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშისთვის ასევე მნიშვნელოვანია ქიმწმენდის ობიექტების ფუნქციონირებისთვის ახალი ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედება 2024 წლის პირველი სექტემბრიდან. ტექნიკური რეგლამენტით ქიმწმენდის ობიექტების განთავსების, აღჭურვის,

ექსპლუატაციისა და ფუნქციონირების, აგრეთვე მიკროკლიმატის ოპტიმალური პარამეტრების მოთხოვნებთან ერთად განისაზღვრა ქიმწმენდის საწარმოში არსებულ სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნების უზრუნველყოფა. აქ დასაქმებულთა შრომის პირობებისა და მათი უფლებების დაცვასა და მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს სსიპ – შრომის ინსპექციის სამსახური.

გარდა იმ ნორმატიული აქტების პროექტებისა, რომელიც უშუალოდ შრომის ინსპექციის სამსახურის ხელმძღვანელობით იქნა მომზადებული და წარდგენილი, აღსანიშნავია ის პროექტები, რომელზედაც მიმდინარეობდა მუშაობა საანგარიშო წლის განმავლობაში და წარდგენილ იქნება 2025 წელს. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი „საქართველოში უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს გაუმჯობესება ევროკავშირის სტანდარტებისა და მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად“, რომლის მხარდაჭერით მიმდინარეობს მუშაობა „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ 2014 წელს დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-14 თავის 354-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმების XXX დანართში მითითებულ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის 19 ევროდირექტივის შესაბამისად ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებაზე. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფორმატში, მიმდინარეობს მუშაობა ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივების ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის მიზნით, ტექნიკური რეგლამენტის პროექტების შემუშავებაზე. სწორედ ამ ფორმატში, საანგარიშო წლის განმავლობაში განხილულ იქნა „სამუშაო სივრცეში სამუშაო მოწყობილობების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი. აღნიშნული პროექტი მომზადებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში და დაფუძნებულია 2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/104/EC დირექტივაზე - „სამუშაოზე დასაქმებულთა მიერ სამუშაო მოწყობილობების გამოყენებისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ“.

დაძმობილების პროექტის მხარდაჭერით, ასევე, მომზადებულ/განახლებულ იქნა საქართველოს მთავრობის შემდეგი დადგენილების პროექტები:

- „მიწის ზედაპირზე და მიწის ქვეშ, აგრეთვე ბურღვის მეშვეობით მინერალური რესურსების მოპოვების ინდუსტრიებში დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ - ტექნიკური რეგლამენტის პროექტი“, რომელიც აერთიანებს ერთი მხრივ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1992 წლის 3 ნოემბრის 92/91/EEC დირექტივას - „ბურღვის მეშვეობით მინერალური რესურსების მოპოვების ინდუსტრიებში დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფისთვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ“, ხოლო მეორე მხრივ - 1992 წლის 3 დეკემბრის 92/104/EEC დირექტივას „ზედაპირზე და მიწის ქვეშ მინერალების მოპოვების ინდუსტრიაში დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფისთვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ“;

- „დროებით ან მობილურ სამშენებლო ობიექტებზე უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან

დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების შესახებ - ტექნიკური რეგლამენტის პროექტი“, რომელიც დაფუძნებულია 1992 წლის 24 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 92/57/EEC დირექტივაზე - „დროებით ან მობილურ სამშენებლო ობიექტებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფისთვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ“.

თავი 2. სამსახურის სტრუქტურული და ადამიანური რესურსების მიმოხილვა

2.1 შრომის ინსპექციის სამსახურის სტრუქტურული მიმოხილვა

შრომის ინსპექციის სამსახური ,,შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე 2021 წლის პირველი იანვრიდან ფუნქციონირებს, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის უფლებამოსილება განსაზღვრულია სხვადასხვა კანონქვემდებარე ნორმატიული თუ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების საფუძველზე, მათ შორის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-119/ნ ბრძანება, რომლის შესაბამისად სამსახური მთავარი შრომის ინსპექტორის ხელმძღვანელობით ფუნციონირებს 167 საშტატო ერთეულით. სტრუქტურაში კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრა მთავარი შრომის ინსპექტორის მოადგილეების რაოდენობაც - არანაკლებ 2 მოადგილე. შრომის ინსპექციის საქმიანობის სპეციფიკისა და დამოუკიდებელი სტრუქტურის ფუნქციონირების საჭიროებებიდან გამომდინარე, სამსახური ცენტრალიზებული სისტემით ფუნქციონირებს და აქვს სამ დონიანი სტრუქტურული სისტემა, რომელიც შედგება 6 პირველი დონის (დეპარტამენტი), 19 მეორე დონის (სამმართველო) და 4 მესამე დონის (განყოფილება) სტრუქტურული ერთეულებისგან.

სამსახურის პირველი დონის სტრუქტურული ერთეულებია:

- შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტი
- შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტი
- მონიტორინგისა და ზედამხედველობის დეპარტამენტი
- ადმინისტრაციული დეპარტამენტი
- იურიდიული დეპარტამენტი
- საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

სამსახურის დებულებით განსაზღვრული სტრუქტურა იხილეთ დანართში. (სურათი N1)

2.2 შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთა შესახებ ინფორმაცია

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-119/ნ ბრძანების შესაბამისად, სამსახური მთავარი შრომის ინსპექტორის ხელმძღვანელობით ფუნციონირებს 167 საშტატო ერთეულით.

სამსახურში საშტატო თანამდებობის მიხედვით კანდიდატები შეირჩევიან „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, ვაკანსიის გამოცხადებისას ინფორმაცია თავსდება ოფიციალურ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge).

2024 წლის საანგარიშო პერიოდში, სამსახურში დასაქმებული შრომის ინსპექტირების განმახორციელებელი პირების რაოდენობა შტატით განსაზღვრული 123 ერთეულიდან შეადგენდა 103 საშტატო ერთეულს.

დეტალური ინფორმაცია სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურში დასაქმებულ პირთა შესახებ თანამდებობების გათვალისწინებით კვარტლურ დონეზე წარმოდგენილია სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის ბლოკში.[1]

აქვე აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ვაკანტური პოზიციების დაკომპლექტების მიზნით სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურში გამოცხადდა **27 კონკურსი**. სამსახურში გამოცხადებული კონკურსის შედეგები ასევე ხელმისაწვდომია ოფიციალურ ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის ბლოკში სამსახურის საკადრო უზრუნველყოფის ველში.

აქედან, „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილების შესაბამისად, გამოცხადებულ იქნა სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსები, შედეგად, 2024 წელს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურში სტაჟირება გაიარა **18-მა სტუდენტმა/კურსდამთავრებულმა.**

2.3 თანამშრომელთა პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით განხორციელებული საქმიანობის შესახებ

შრომის ინსპექციის სამსახური შექმნის დღიდან მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რათა შრომითი ნორმების დაცვაზე ზედამხედველობა ეფექტიანად და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად წარიმართოს.

აქვე აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, თანამშრომელთა პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით შემუშავებულ იქნა შემდეგი სახელმძღვანელო დოკუმენტები:

[1] იხ. სამსახურში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში https://lio.moh.gov.ge/publiclist1.php?lang=1&id=20230109162721465954252 6 (29.12.2023)

- რასობრივი, ეთნიკური დისკრიმინაციის საქმეების ეფექტურად მოკვლევის სახელმძღვანელო
- სამუშაო ადგილებზე გონივრული მისადაგების პრინციპების სახელმძღვანელო
- დასაქმებული ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალებისთვის მავნე ან/და განსაკუთრებული რისკის შემცველი სამუშაო გარემოს შეფასების პრაქტიკული სახელმძღვანელო და კითხვარი
- შრომით ურთიერთობებში გენდერულ თანასწორობაზე სახელმძღვანელო და ტრენინგ მოდული
- შრომის ინსპექტორთათვის მეთოდოლოგიური დოკუმენტი შრომით ურთიერთობებში თანაბარი ანაზღაურების პრინციპის შესახებ და ინსტრუქცია შრომის უთანასწორო ანაზღაურების პრევენციის, დადგენის და მასზე რეაგირების შესახებ

რაც შეეხება, საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ ტრენინგებს, ზემოხსენებულიდან გამომდინარე განსაკუთრებით გამოსაყოფია სამსახურის მიერ განხორციელებული შიდა ტრენინგები, ტრენერთა ტრენინგები, სოციალური და ტექნიკური მიმართულებით განხორციელებული ტრენინგები, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვეთავებში.

2.3.1 შრომის ინსპექციის სამსახურის შიდა ტრენინგები

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურმა ახლად დასაქმებული თუ მოქმედი თანამშრომლების პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განახორციელა გადამზადება შიდა სწავლების გეგმის შესაბამისად, რომელიც დაფუძნებულია ზოგადი თუ თემატური მიმართულებით სტრუქტურირებულ მიდგომაზე და მოიაზრებს საფეხურეობრივად თანამშრომელთა გადამზადებას/კვალიფიკაციის ამაღლებას სამსახურის შიდა რესურსების გამოყენებით, მათ შორის, აერთიანებს 3 საფეხურს, სადაც:

I საფეხური - საბაზისოა და ეხება სისტემაში ახლად დასაქმებულ პირებს;

II საფეხური - თემატურად ჩაშლილია და აერთიანებს ფუნდამენტურ ნორმატიულ აქტებს, რომლის აღსრულებაზე უწყება ახორციელებს ზედამხედველობას. აღნიშნული საფეხურის გავლის ვალდებულება ყველა დასაქმებულ პირს აქვს;

III საფეხური - ტექნიკურ საკითხებზეა ორიენტირებული. ახორციელებს მსმენელთა ჯგუფების ფორმირებას, როგორც უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის, ასევე, უფლებებზე ზედამხედველობის მიმართულებითა და სექტორული საქმიანობის ჭრილში, რომელიც შედგება იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისგან, რომლის აღსრულებაზე პასუხისმგებლობა სამსახურს ინსპექტირების პროცესში გააჩნია.

2024 წელს სამსახურში დასაქმებულმა ყველა ახალმა შრომის ინსპექტორმა გაიარა შიდა სწავლების გეგმა **I-II საფეხურის** ფარგლებში. ამასთანავე, მოქმედი თანამშრომლები გადამზადდნენ **მესამე** საფეხურის ფარგლებში გაწერილი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, რომლის თანახმადაც თანამშრომლები გადამზადებულ იქნენ **27 ნორმატიული აქტის შესაბამისად**.

2.3.2 ტრენერთა ტრენინგი (TOT) და ტრენინგების სერია რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ამოცნობის საკითხებში

შრომის ინსპექციის თანამშრომლებმა პროექტის - „ადამიანის უფლებები ყველასთვის - მეორე ფაზა“ ფარგლებში გაიარეს ტრენერთა ტრენინგის პროგრამა რასობრივი, ეთნიკური დისკრიმინაციის საქმეების ეფექტურად მოკვლევის სახელმძღვანელოს შესაბამისად. ტრენერთა ტრენინგის სასწავლო კურსი მიზნად ისახავდა მონაწილეებში სიღრმისეული ცოდნისა და უნარების სწავლებას სამუშაო ადგილზე რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური დისკრიმინაციის იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის კუთხით.

ცალკე სესია დაეთმო თანასწორი, ინკლუზიური და მრავალფეროვანი სამუშაო გარემოს მნიშვნელობას, სადაც ყველა თანამშრომელს ეპყრობიან პატივისცემით და კარიერული წინსვლისთვის თანაბარი

შესაძლებლობები აქვთ. მონაწილეები, ასევე გაეცნენ საერთაშორისო სტანდარტებს შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ.

2.3.3 პროექტის ტრენინგების სერია

ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის „საქართველოში უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს გაუმჯობესება ევროკავშირის სტანდარტებისა და მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად“ ფარგლებში, საანგარიშო წელს სამსახურის თანამშრომლებისათვის არაერთი ტრენინგი გაიმართა. მათ შორის, აღსანიშნავია სამსახურის შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის განხორციელებული თემატური ტრენინგები № 341, № 590 და № 167 ტექნიკური რეგლამენტებზე.

სპეციალურად მომზადებული სასწავლო კურსის ფარგლებში, შრომის ინსპექტორებმა გაიარეს ზემოაღნიშნული ტექნიკური რეგლამენტების სტრუქტურა და პრინციპები, მათი პრაქტიკაში განხორციელების საკითხები და ევროპული ქვეყნების გამოცდილება. ასევე, აღნიშნული სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების ინსპექტირებასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები და პრაქტიკაში გამოყენება. ტრენინგის ფარგლებში შრომის ინსპექტორებმა აიმაღლეს სამუშაო ადგილებზე, დასაქმებულთა წინაშე არსებული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების უნარ-ჩვევები, ასევე, საკანონმდებლო მოთხოვნებისა და შრომის უსაფრთხოების პრინციპების გამოყენება ინსპექტირების განსახორციელებლად საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

პროექტის ფარგლებში სამსახურში დასაქმებული მენეჯერებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებზე მომუშავე თანამშრომლებისათვის საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით გაიმართა მედია უნარების ტრენინგი. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებმა შეიძინეს თეორიული ცოდნა და გამოიმუშავეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები მედიასთან ურთიერთობის საკითხებზე.

ასევე, პროექტის ფარგლებში სამსახურის თანამშრომლებისათვის განხორციელდა ტრენერთა ტრენინგის (TOT) პირველი სესია, რომლის მიზანი იყო თანამშრომლებისათვის სწავლების უნარ-ჩვევების გაძლიერება. ტრენერთა ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ სწავლებასთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვას, შეფასების სათანადო მეთოდებს თემატიკის არჩევასა და გამოყენებაში, ფასილიტაციის უნარებს სხვადასხვა ტრენინგ აქტივობებში მონაწილეობისთვის. გარდა ამისა, მონაწილეებმა შეისწავლეს სწავლების თეორიების გამოყენების მიდგომები შრომის უსაფრთხოების კონტექსტში ეფექტური სასწავლო სესიების შესაქმნელად.

2.3.4 ტრენინგების სერია - დამარწმუნებელი კომუნიკაცია და მენეჯერული უნარების განვითარება

2024 წელს სამსახურის ყველა თანამშრომელმა გაიარა ორდღიანი საკომუნიკაციო ტრენინგი დამარწმუნებელი კომუნიკაციის მიმართულებით. ტრენინგის ფარგლებში შრომის ინსპექტორები და სამსახურის სხვა თანამშრომლები გაეცნენ დამარწმუნებელი კომუნიკაციისთვის შინაგანი მზაობის შექმნასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, დამარწმუნებელი კომუნიკაციის არსს და ასერტიულ კომუნიკაციას, დარწმუნების ტექნიკებსა და შინაგანი მდგომარეობის მართვას. ასევე, დამარწმუნებელი კომუნიკაციის სტანდარტებსა და საკვანძო პრინციპებს.ტრენინგის ფარგლებში მოწვეული ექსპერტის მიერ სამსახურის თანამშრომლებისათვის შემუშავდა სპეციალური სახელმძღვანელო.

2.3.5 ტრენინგების სერია სამართლიანი და ეთიკური დასაქმების შესახებ

შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომლებმა პროგრამის „განვითარებაზე ორიენტირებული მიგრაციის ჩამოყალიბება“ (MEG) ფარგლებში, ასევე, გაიარეს სამართლიანი და ეთიკური დასაქმების შესახებ ტრენინგების სერია.

გადამზადების კურსზე განხილული იყო შრომითი მიგრაციის მართვის მიმართულებით ევროკავშირში არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, მიდგომები, რეგულირება, მონიტორინგი და აღსრულების მექანიზმები.

ტრენინგის მონაწილეები ასევე, გაეცნენ სამართლიანი და ეთიკური დასაქმების კუთხით არსებულ საუკეთესო პრაქტიკას.

2.3.6 ტრენინგი „შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანით ვაჭრობის ფსიქო-სოციალური ასპექტები და ეფექტური კომუნიკაცია ადამიანით ვაჭრობის შესაძლო მსხვერპლებთან“

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომლებისთვის შემუშავდა სპეციალური ტრენინგ-კურსი, რომელიც მიზნად ისახავდა პრაქტიკოსი თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებას და პრაქტიკული შესაძლებლობების გაძლიერებას ეფექტური კომუნიკაციის კუთხით, შრომითი ექსპლუატაციის (შესაძლო) მსხვერპლთა საჭიროებებისა და გამოწვევების, შრომითი ექსპლუატაციის მიზნებისთვის ტრეფიკინგის ფსიქო-სოციალური შედეგების სიღრმისეულად გასაცნობად.

განხორციელებული ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებმა გაიუმჯობესეს ცოდნა და შესაძლებლობები: შრომითი ექსპლუატაციის სახეებთან, ტრეფიკინგის არსთან და ფორმებთან დაკავშირებით, ასევე, შრომითი ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის ფსიქო-სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებით.

ტრენინგის შედეგად მონაწილეები გაეცნენ ტრეფიკინგის მსხვერპლის ემოციურ-ქცევითი და ტრავმული ნიშნების ამოცნობის საკითხებს, მსხვერპლის ხელშეწყობაში ინტერვიუერი ინსპექტორების როლისა და მნიშვნელობის საკითხებს, იძულებითი შრომის მსხვერპლებთან / სავარაუდო მსხვერპლებთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დასამყარებლად და გენდერულად ემპათიური ინტერვიუს ჩატარებასთან დაკავშირებული ასპექტებს, მსხვერპლზე ორიენტირებული სტრატეგიების, გენდერულ და ასაკობრივ საჭიროებებზე დაფუძნებული, ტრავმა-ინფორმირებული მიდგომების გამოყენების მნიშვნელობასა და ტრეფიკინგის დანაშაულების მსხვერპლთა მეორეული ვიქტიმიზაციის ასარიდებლად და ვერბალური დეესკალაციის ტექნიკების გამოსაყენებლად აუცილებელი საკითხებს.

თავი 3. მანდატის ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შრომის ინსპექციის სამსახური, რომელიც ფუნქციონირებას შეუდგა 2021 წლის პირველი იანვრიდან „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული მანდატის გათვალისწინებით საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შემდეგი ნორმატიული აქტებით: საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონით, შრომის ინსპექციის სამსახურის დებულებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

სამსახურის ზედამხედველობის განხორციელების მიმართულებია:

►შრომის უსაფრთხოების ნორმების აღსრულებაზე ზედამხედველობა	➔ საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ➔ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევა, ანგარიშგება ➔ თემატურად დაკავშირებულ ტექნიკურ რეგლამენტებზე ზედამხედველობა
►შრომით უფლებებზე ზედამხედველობა	➔ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ ➔ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ ➔ საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ **იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობა** საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის N112 დადგენილება **სამედიცინო დაწესებულებებში მინიმალურ საათობრივ ანაზღაურებაზე კონტროლი** „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით

3.1 შრომის უსაფრთხოების ნორმებზე განხორციელებული ზედამხედველობა

2024 წელს ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად **3201** ინსპექტირება (პირველადი და შემდგომი, დარღვევების სრულ გამოსწორებამდე) განხორციელდა. განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში პირველადი ინსპექტირებების შედეგად შემოწმდა **1901** ობიექტი, მათ შორის:

აღსანიშნავია, რომ განხორციელებული ინსპექტირებები შეეხო 84 157-მდე დასაქმებულ პირს.

1249	**გეგმურად**	
652	**არაგეგმურად**	
	36	საჩივრის საფუძველზე
	235	სამუშაო ადგილზე საწარმოო უბედური შემთხვევებისა და ინციდენტების საფუძვლით
	381	სხვა არაგეგმური ინსპექტირება

ზრდადია, გეგმური ინსპექტირებების შედეგად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა. კერძოდ, 2024 წელს:

- **2021 წელთან შედარებით გაზრდილია 4,5 ჯერ;**
- **2022 წელთან შედარებით გაზრდილია 1,7 ჯერ;**
- **2023 წელთან შედარებით გაზრდილია 1,2 ჯერ.**

პირველადი ინსპექტირების შედეგად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (სეკ-2016 (NACE Rev.2)) შესაბამისად წარმოდგენილია №1 დიაგრამაზე:

განხორციელებული ინსპექტირებების ფარგლებში პირველადად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა ზრდადია. კერძოდ, 2024 წელს:

- **2021 წელთან შედარებით გაზრდილია 4,3 ჯერ;**
- **2022 წელთან შედარებით გაზრდილია 1,7 ჯერ;**
- **2023 წელთან შედარებით გაზრდილია 1,2 ჯერ.**

დიაგრამა №1

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად შემოწმებული სამუშაო ადგილების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად[2]



[2] ეკონომიკური საქმიანობის სახეები საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (სეკ-2016) შესაბამისად (NACE REV. 2) იხილეთ დანართში - ცხრილი N1

შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე ზედამხედველობის მიზნით ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ინსპექტირება განხორციელდა საქართველოს მასშტაბით. თბილისსა და რეგიონებში პირველადი ინსპექტირების შედეგად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა და ფარდობითი სიხშირეები ქვეყანაში მოქმედი აქტიური სუბიექტების გათვალისწინებით წარმოდგენილია №2 და №3 დიაგრამაზე.

დიაგრამა №2

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად შემოწმებული ობიექტების ფარდობითი სიხშირეები თბილისსა და რეგიონებში მოქმედი აქტიური სუბიექტების გათვალისწინებით[3]



რეგიონის დასახელება	უსაფრთხოების ნორმებზე ზედამხედველობის ფარგლებში შემოწმებული ობიექტები	შემოწმებული ობიექტების წილი (%)
სულ	**1901**	**0.7**
ქ. თბილისი	1168	0.9
აჭარის ა.რ.	252	0.8
გურია	11	0.2
იმერეთი	159	0.5
კახეთი	54	0.3
მცხეთა-მთიანეთი	44	0.7
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	7	0.2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	61	0.3
სამცხე-ჯავახეთი	17	0.2
ქვემო ქართლი	88	0.4
შიდა ქართლი	40	0.3

[3] აქტიური სუბიექტების რაოდენობის წყაროა საქართელოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/68/regionebis-mikhedvit (2025 წლის 1 აპრილის მდგომარეობა)

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

დიაგრამიდან ნათლად ჩანს რეგიონულ დონეზე მოქმედი აქტიური სუბიექტების მოცვის პირდაპირპროპირციული ათვისება, რაც განხორციელებული საქმიანობისას რესურსების ოპტიმალურ და თანაბარ გადანაწილებაზე მიუთითებს.

დიაგრამა №3

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა თბილისსა და რეგიონებში



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

პირველადი ინსპექტირებების შედეგად კი გაცემული **18 551 მითითების რაოდენობა** წარმოდგენილია დანართში №2 ცხრილში. აღნიშნული დარღვევების საფუძველზე გაცემული მითითებებიდან ყველაზე ხშირად გამოვლენილ იქნა შემდეგი დარღვევები:

- 8% - ობიექტზე სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე სრულად არ არის ჩატარებული სწავლება/ინსტრუქტაჟები;

- 7% - დასაქმებულები სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე სრულად არ არიან აღჭურვილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- 7% - ობიექტზე სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე სრულად არ არის შეფასებული რისკები;
- 6% - ობიექტზე სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე სრულად არ არის განთავსებული უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვის ნიშნები;
- 6% - ობიექტზე არ არის შემოწმებული ტექნიკური აღჭურვილობა;
- 5% - ობიექტზე არ არის განთავსებული პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი;
- 4% - ობიექტს არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
- 4% - ობიექტზე არ წარმოებს საწარმოო უბედური შემთხვევების/ პროფესიული დაავადების აღწერა;
- 4% - ობიექტზე არ არის გამოყოფილი ალკოჰოლზე და ნარკოტიკულ თრობაზე პასუხისმგებელი პირი;
- 4% - ობიექტზე არ არის განსაზღვრული პასუხისმგებლობები/ფუნქციები

გამოვლენილი დარღვევების შედეგად, ადმინისტრაციული სახდელის სახედ სამსახურის მიერ გამოყენებულ იქნა საქმიანობის შეჩერება, გაფრთხილება და ჯარიმა.

გაფრთხილება არსებული დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, დამსაქმებლისთვის გონივრული ვადის მიცემას გულისხმობს. **პირველი გაფრთხილების შემდგომ,** გონივრული ვადის გასვლისთანავე განმეორებითი ინსპექტირების შედეგად დაფიქსირდა, რომ **701 ობიექტმა სრულად გამოასწორა** დარღვევები.

სამსახურის მიერ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ნორმების დარღვევის შესაბამისად, **2282 შემთხვევაში** გამოყენებულ იქნა შემდეგი ადმინისტრაციული სახდელი:

- ☐ გაფრთხილების თაობაზე 1804;
- ☐ შეჩერების თაობაზე 134, მათ შორის, განმეორებით შეჩერების თაობაზე 3 შემთხვევა;
- ☐ ჯარიმის თაობაზე 344.

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონზე ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად გამოყენებული ჯარიმების კატეგორიზაციის ფარდობითი სიხშირეები წარმოდგენილია N4 დიაგრამაზე:

დიაგრამა №4

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განხორციელებული ინსპექტირებების შედეგად ადმინისტრაციული სახდელის სახედ გამოყენებული ჯარიმების კატეგორიზაციის ფარდობითი სიხშირეები



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

როგორც დიაგრამიდან ჩანს ყველაზე მეტად ადმინისტრაციული სახდელის სახედ ჯარიმა იქნა გამოყენებული:

- გაცემული მითითების შეუსრულებლობის საფუძვლით - 297 შემთხვევაში;
- უბედური შემთხვევის შეუტყობინებლობის საფუძვლით - 30 შემთხვევა დაფიქსირდა;
- რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის საფუძვლით - 8 შემთხვევა;
- თვითნებურად სამუშაოების გაგრძელების საფუძვლით - 4 შემთხვევა;
- განმეორებითი შეჩერების საფუძვლით - 3 შემთხვევა;
- უბედური შემთხვევის მოკვლევის ჩაუტარებლობის საფუძვლით - 1 შემთხვევა;

- საქმიანობაში ხელის შეშლა - 1 შემთხვევა.

არსებითად მნიშვნელოვანია, გამოიყოს ის პროგრესი, რაც შრომის უსაფრთხოების ნორმებზე ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად გამოვლინდა ფინანსური სახდელის/ჯარიმის დაკისრებისას. კერძოდ, ბოლო 3 წლის მანძილზე [4] შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით ვლინდება შემდეგი ტენდენცია: განხორციელებული ინსპექტირებების ფონზე მნიშვნელოვნადაა შემცირებული ადმინისტრაციული სახდელის სახედ ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი: **2024 წელს 2022 წელთან შედარებით შემცირებულია 11 %-ით, 2023 წელთან შედარებით 6%,** რაც უწყების მხრიდან განხორციელებული ღონისძიებების გათვალისწინებით კანონის ეფექტური აღსრულების უმნიშვნელოვანეს ინდიკატორად შესაძლოა მივიჩნიოთ.

დიაგრამა №5

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განხორციელებული ინსპექტირებების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად აღრიცხული ჯარიმების წილი



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

აქვე აღსანიშნავია, რომ კრიტიკული დარღვევისთვის სამუშაო პროცესის შეჩერების გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე სასამართლოს მიემართა 134 ჯერ. შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამუშაოს შეჩერების თაობაზე სასამართლომ ყველა შემთხვევაში დააკმაყოფილა.

[4] COVID-19 პანდემიის (2020-2021) პერიოდში შრომის ინსპექციის უფლებამოსილებების გათვალისწინებით მიზანშეწონილია მონაცემების ანალიზი განხორციელდეს 2022 წლის საანგარიშო პერიოდიდან.

3.2 შრომით უფლებებზე განხორციელებული ზედამხედველობის მიმოხილვა

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურში შრომით უფლებებზე ზედამხედველობის მიმართულება აერთიანებს შემდეგ მიმართულებებს:

- საქართველოს ორგანული კანონითა ,,საქართველოს შრომის კოდექსი'' და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განხორციელებულ ინსპექტირებებს, მათ შორის, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით განსაზღვრული მინიმალური საათობრივი ანაზღაურების კონტროლს;
- ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრულ ინსპექტირებებსა და საშუამავლო კომპანიების მონიტორინგს;
- „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით, სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის №112 დადგენილების შესაბამისად მონიტორინგს.

ზემოხსენებულის ფარგლებში, სამსახურის მიერ საქართველოს მასშტაბით ჩატარდა 2205 აქტივობა (პირველადი და შემდგომი ინსპექტირება დარღვევების აღმოფხვრამდე), რომელმაც პირველადი ინსპექტირებისა და მონიტორინგის ფარგლებში მოიცვა 1290 ობიექტი პირველადი ინსპექტირებები შეეხო 1078 ობიექტს, 195 ობიექტის მონიტორინგი განხორციელდა იძულებითი შრომის კომპონენტში და 17 მონიტორინგი საშუამავლო კომპანიის სერტიფიცირების მიზნებისთვის).

შრომით ნორმებზე განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით რეგიონულ დონეზე შემოწმებული ობიექტების გადანაწილების ფარდობითი სიხშირეები ქვეყანაში მოქმედი აქტიური სუბიექტების გათვალისწინებით წარმოდგენილია №6 დიაგრამებზე:

დიაგრამა №6

შრომით უფლებებზე განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში შემოწმებული ობიექტების ფარდობითი სიხშირეები თბილისსა და რეგიონებში მოქმედი აქტიური სუბიექტების გათვალისწინებით[5]



რეგიონის დასახელება	შრომით უფლებებზე განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში შემოწმებული ობიექტები	შემოწმებული ობიექტების წილი (%)
სულ	1290	**0.4**
ქ. თბილისი	593	0.5
აჭარის ა.რ.	249	0.8
გურია	13	0.2
იმერეთი	112	0.3
კახეთი	76	0.5
მცხეთა-მთიანეთი	38	0.6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	5	0.2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	95	0.5
სამცხე-ჯავახეთი	24	0.2
ქვემო ქართლი	65	0.3
შიდა ქართლი	20	0.2

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

შრომითი უფლებების ზედამხედველობის მიმართულებითაც ნათლად ჩანს რეგიონულ დონეზე მოქმედი აქტიური სუბიექტების მოცვის პირდაპირპროპირციული ათვისება, რაც განხორციელებული საქმიანობისას რესურსების ოპტიმალურ და თანაბარ გადანაწილებაზე მიუთითებს.

[5] აქტიური სუბიექტების რაოდენობის წყაროა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/68/regionebis-mikhedvit (2025 წლის 1 აპრილის მდგომარეობა)

უშუალოდ, საქართველოს შრომის კოდექსითა და „შრომითი მიგრაციის შესახებ“ მიგრაციის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ნორმებზე, მათ შორის, ჯანდაცვის სექტორში მინიმალური საათობრივი ანაზღაურების კონტროლის ფარგლებში, 2024 წლის საანგარიშო პერიოდში, შრომითი უფლებების ზედამხედველობის მიმართულებით სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელდა **1993 ინსპექტირება** (პირველადი და შემდგომი, დარღვევების სრულ აღმოფხვრამდე). ჩატარებული ზედამხედველობის ფარგლებში პირველადი ინსპექტირებების შედეგად შემოწმდა **1078 ობიექტი/სამუშაო ადგილი**, მათ შორის:

აღსანიშნავია, რომ განხორციელებული ინსპექტირებები შეეხო 29 702-მდე დასაქმებულ პირს.

734	**გეგმურად**	
	არაგეგმურად	
344	**258**	საჩივრის საფუძველზე
	101	საკუთარი ინიციატივით

განხორციელებული ზედამხედველობის შედეგად პირველადად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა ზრდადია. კერძოდ, 2024 წელს:

- **2021 წელთან შედარებით გაზრდილია 3,3 ჯერ;**
- **2022 წელთან შედარებით გაზრდილია 1,6 ჯერ;**
- **2023 წელთან შედარებით გაზრდილია 0,8 ჯერ.**

აქვე აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული წინა წლის განმეორებითი ინსპექტირებების რაოდენობამ შეადგინა 900.

ასევე ზრდადია, გეგმურად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა. კერძოდ, 2024 წელს:

- **2021 წელთან შედარებით გაზრდილია 4,4 ჯერ;**
- **2022 წელთან შედარებით გაზრდილია 1,7 ჯერ;**
- **2023 წელთან შედარებით გაზრდილია 1,2 ჯერ.**

რაც შეეხება, სამსახურში შრომითი უფლებების დარღვევაზე **წარმოდგენილ საჩივრებს,** 2024 წლის საანგარიშო პერიოდში აღირიცხა **555 საჩივარი,** რომელთაგან 223 საჩივარზე საქმე შეწყვეტილ იქნა/განუხილველად დარჩა ბრძანების საფუძველზე, ვინაიდან საქმედასრულდა მორიგებით. ინსპექტირება კი, განხორციელდა **258 ობიექტზე,** მათ შორის:

- 111 საჩივარზე დარღვევის არსებობის გამო გაცემულ იქნა ოქმი/გადაწყვეტილება;
- 94 საჩივარზე დარღვევის არარსებობის გამო შედგენილ იქნა დადგენილება;
- 38 საჩივარზე საქმე შეწყვეტილ იქნა დარღვევის აღმოფხვრის/მორიგების გამო/მოხსენებითი ბარათით;
- 15 საჩივარზე კი მიმდინარეობს საქმისწარმოება.

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურმა მიღებული განცხადებების საფუძველზე <u>წერილობითი და ზეპირი კონსულტაცია</u> **შრომით უფლებებთან დაკავშირებით გაუწია 632 დაინტერესებულ** პირს.

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-სა და ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მასშტაბით რეგიონულ დონეზე შემოწმებული ობიექტების რაოდენობა წარმოდგენილია №7 დიაგრამაზე:

დიაგრამა №7

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-სა და ,,შრომითი მიგრაციის შესახებ''

საქართველოს კანონის შესაბამისად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა თბილისსა და რეგიონებში

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-სა და ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად შემოწმებული ობიექტების/სამუშაო ადგილების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად წარმოადგენილია №8 დიაგრამაზე:

დიაგრამა №8

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-სა და ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად შემოწმებული სამუშაო ადგილების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად[6]

[6] ეკონომიკური საქმიანობის სახეები საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (სეკ-2016) შესაბამისად (NACE REV. 2) იხილეთ დანართში - ცხრილი N1



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

2024 წლის საანგარიშო პერიოდის ფარგლებში, შრომით უფლებებზე განხორციელებული ზედამხედველობის შედეგად სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ, ჯამში, გაიცა **920 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.** მათ შორის, **709 - გაფრთხილების,** ხოლო **211 - დაჯარიმების შესახებ.** ამასთანავე, საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ შედგენილ იქნა **316 დადგენილება.**

2024 წელს საქართველოს ორგანულ კანონზე ,,საქართველოს შრომის კოდექს''-ზე განხორციელებული **პირველადი ინსპექტირების ფარგლებში გაცემული მითითება** მუხლებისა და პუნქტების შესაბამისად წარმოდგენილია N 1 ცხრილში:

ცხრილი №1

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი'' შესაბამისად განხორციელებული პირველადი ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევები ჯამში და პუნქტების/ქვეპუნქტების შესაბამისად

მუხლი 1	ჯამში	11
1.3		11
მუხლი 2	ჯამში	75
2.1		13
2.2		1
2.3		61
მუხლი 4	ჯამში	7
4.2		3
4.5		2
4.7		2
მუხლი 11	ჯამში	3
11.1		3
მუხლი 12	ჯამში	128
12		2
12.1		9
12.2		30

12.3		9
12.4		78
მუხლი 14	ჯამში	584
14.1.ბ		11
14.1.გ		91
14.1.დ		34
14.1.ე		113
14.1.ვ		66
14.1.ზ		133
14.1.თ		97
14.1.ი		38
14.2		1
მუხლი 16	ჯამში	70
16.5		70
მუხლი 17	ჯამში	12
17.1		11

17.2		1
მუხლი 18	ჯამში	10
18.2		1
18.4		8
18.5		1
მუხლი 19	ჯამში	9
19		9
მუხლი 20	ჯამში	97
20.2		95
20.8		2
მუხლი 21	ჯამში	4
21		1
21.2		1
21.4		2
მუხლი 22	ჯამში	8
22		3

22.1		1
22.3		4
მუხლი 23	ჯამში	99
23.1		2
23.2.გ		1
23.4		96
მუხლი 24	ჯამში	468
24		2
24.1		1
24.2		76
24.4		23
24.5		18
24.7		48
24.8		5
24.9		2
24.11		293
მუხლი 25	ჯამში	20
25.3		7
25.4		13
მუხლი 26	ჯამში	2
26		1
26.4		1
მუხლი 27	ჯამში	194
27		15
27.1		41
27.2		118
27.3		15
27.4		2
27.5		3
მუხლი 28	ჯამში	3
28.3		3
მუხლი 30	ჯამში	97
30		57
30.2		1

30.3		1
30.4		38
მუხლი 31	ჯამში	96
31		10
31.1		26
31.2		13
31.3		37
31.4		3
31.5		4
31.6		3
მუხლი 32	ჯამში	9
32.1		3
32.2		1
32.3		1
32.4		4
მუხლი 33	ჯამში	1
33		1
მუხლი 34	ჯამში	4
34.1		3
34.2		1
მუხლი 35	ჯამში	4
35		1
35.1		3
მუხლი 36	ჯამში	26
36		26
მუხლი 37	ჯამში	5
37		4
37.3		1
მუხლი 38	ჯამში	1
38		1
მუხლი 41	ჯამში	210
41		10
41.1		81
41.2		5

41.3		39
41.4		75
მუხლი 42	ჯამში	5
42.1		5
მუხლი 43	ჯამში	30
43		1
43.2		29
მუხლი 44	ჯამში	18
44		18
მუხლი 45	ჯამში	5
45.1		3
45.6		2
მუხლი 46	ჯამში	41
46		3
46.1		1
46.1.ე		1
46.2.ი		4
46.4		32
მუხლი 58	ჯამში	1
58		1
მუხლი 59	ჯამში	11
59.1		8
59.2		3
მუხლი 60	ჯამში	28
60		1
60.1		27
მუხლი 70	ჯამში	9
70		8
70.1		1
მუხლი 79	ჯამში	1
79.1		1
მუხლი 80	ჯამში	1
80.1.ბ		1

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით განსაზღვრული მინიმალური საათობრივი ანაზღაურების საკითხის შემოწმების ნაწილში **განხორციელდა 255 სამედიცინო დაწესებულების გეგმური ინსპექტირება**.

3.2.1 „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონზე განხორციელებული ზედამხედველობის შედეგები

საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის 75-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური 2023 წლის 1-ლი სექტემბრიდან განისაზღვრა „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების (შემდგომ – შრომითი ნორმები) ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად, საქართველოს შრომის კანონმდებლობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოდ. აღნიშნული მანდატის ფარგლებში, 2024 წელს განხორციელდა **120 ინსპექტირება**. . ხსენებული ინსპექტირებების ფარგლებში გამოვლენილი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევები, რომლის შედეგადაც გაცემულ იქნა **61 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი,** მათ შორის:

- 57 ობიექტზე/ადგილობრივ დამსაქმებელთან გამოვლინდა რეგისტრირებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა. გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად შედგა 57 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (გაფრთხილება).
- 4 ობიექტზე/ადგილობრივ დამსაქმებელთან გამოვლინდა არარეგისტრირებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (იმიგრანტების) შრომითი ურთიერთობის ფაქტი, ასევე, რეგისტრირებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა, რომლის შედეგადაც გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად შედგა 4 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

გამოვლენილი დარღვევების შედეგად გაცემული მითითებების რაოდენობა მუხლებისა და პუნქტების შესაბამისად გამოიყურება შემდეგნაირად:

„შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოვლენილი დარღვევების რაოდენობის განაწილება ასახულია N2 ცხრილში:

ცხრილი №2

„შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა	
მუხლი 13	ჯამში
13(2)	53
13(2).1	5
13(2).1.გ	2
13(2).1.ვ	2

„შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა	
13(2).2	3
13(4)	3
13(4).1	1

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

აღსანიშნავია, რომ ,,შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული საშუამავლო კომპანიის მიერ საქართველოს ფარგლების გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციისა და სერტიფიცირების ზედამხედველობის ფარგლებში, განხორციელდა **17 მონიტორინგი.** "საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 8 აგვისტოს №292 დადგენილებით დამტკიცებული წესის №1 დანართის შესაბამისად, საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის სერტიფიცირების პირობებთან ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობის დადგენის მიზნით, შედგენილ იქნა 17 შესაბამისობის აქტი.[7]

3.2.2 შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის ამკრძალავ ნორმებზე ზედამხედველობა

2024 წლის საანგარიშო პერიოდში, დისკრიმინაციის ამკრძალავ ნორმებზე ზედამხედველობის მიმართულებით სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელდა **216 ინსპექტირება (პირველადი და შემდგომი, დარღვევების სრულ აღმოფხვრამდე).** ჩატარებული ზედამხედველობის ფარგლებში პირველადი ინსპექტირებების შედეგად **არაგეგმურად შემოწმდა 128 ობიექტი/სამუშაო ადგილი,** მათ შორის:

- **54** საჩივრის საფუძველზე;
- **74** საკუთარი ინიციატივით.

2024 წლის საანგარიშო პერიოდში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელებული ზედამხედველობის შედეგად, სამუშაო ადგილებზე, როგორც წინასახელშეკრულებო, ასევე, მიმდინარე, თუ დასრულებულ შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციული მოპყრობა ჯამში დადგენილ იქნა **72 ობიექტის/მეწარმე სუბიექტის მიმართ, მათგან დასაქმებული პირის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა დადგენილ იქნა 5 შემთხვევაში, ხოლო წინასახელშეკრულებო ეტაპზე, კერძოდ ვაკანსიის გამოქვეყნებისას, პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის დარღვევა დადგენილ იქნა 67 ობიექტის/სამუშაო ადგილის მიმართ.** გარდა ამისა, როგორც მიმდინარე, ასევე დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით, არაჯანსაღი ან/და მტრული სამუშაო გარემოს არსებობა, ასევე, **დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციის**

[7] აღნიშნულის შედეგად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში მოქმედი კომისიის გადაწყვეტილებით სერტიფიცირებული საშუამავლო კომპანიების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სამინისტროს მიერ ადმინისტრირებულ პორტალზე: https://labourmigration.moh.gov.ge/certified.php?id=10

ამკრძალავი დებულებების პრაქტიკაში აღსრულების გამოწვევები, გამოვლინდა 14 ობიექტზე/სამუშაო ადგილზე.

<u>**რაც შეეხება, გამოვლენილ შემთხვევებს:**</u>

ა) სამსახურის მიერ, საკუთარი ინიციატივით საჯარო წესით გამოქვეყნებული ვაკანსიების აქტიური მონიტორინგის შედეგად **წინასახელშეკრულებო ეტაპზე,** კერძოდ ვაკანსიის გამოქვეყნებისას, პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის დარღვევა დადგენილ იქნა **67 ობიექტის/სამუშაო ადგილის მიმართ.**

აღსანიშნავია, რომ დამსაქმებელთა მიერ საჯარო წესით გამოქვეყნებული ვაკანსიების ტექსტები შეიცავდა დისკრიმინაციისგან დაცულ სხვადასხვა ნიშნებს, მათ შორის:

- **41 ვაკანსიაში** გამოიკვეთა დასაქმებაზე კანდიდატთა შეზღუდვა ასაკის ნიშნით;
- **37 ვაკანსიაში** გამოიკვეთა სქესის ნიშნით შეზღუდვა;
- **16 ვაკანსიაში** გარეგნობის ნიშნით კანდიდატთა გამორჩევას ჰქონდა ადგილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთსა და იმავე ვაკანსიაში არათანაბარი მოპყრობისაგან დაცული რამდენიმე ნიშანი იკვეთებოდა.

ზედამხედველობის შედეგად, წარმოდგენილი **67-ვე ობიექტთან მიმართებით** ადმინისტრაციული სახდელის სახედ **გამოყენებულ იქნა გაფრთხილება** და გაიცა შესაბამისი მითითებები დარღვევების სრულად აღმოსაფხვრელად.

წინასახელშეკრულებო შრომითი ურთიერთობის ეტაპზე, დამსაქმებლის მხრიდან კანდიდატთა მიმართ ისეთი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნა, რაც არ იყო დაკავშირებული შესასრულებელ სამუშაოსთან და არ იყო საჭირო კანდიდატის მიერ კონკრეტული სამუშაოს შესრულების შესაძლებლობის შესაფასებლად, რაც ქმნიდა დისკრიმინაციის რისკებს დადგენილ იქნა **1 შემთხვევაში.**

ბ) დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილი საჩივრების საფუძველზე განხორციელებული ინსპექტირებების ფარგლებში, როგორც მიმდინარე, ასევე დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით **დისკრიმინაცია დადგენილ იქნა 5 ობიექტის/სამუშაო ადგილის მიმართ.** ხსენებულ საქმეებთან მიმართებით, რომელზეც დადგენილ იქნა დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმა, დაცულ ნიშნებს შორის იყო:

3 შემთხვევაში - ვიქტიმიზაცია;

1 შემთხვევაში - ხელშეკრულების სტატუსი;

1 შემთხვევაში - სქესი (სექსუალური შევიწროება);

N 9 დიაგრამაზე წარმოდგენილია სამუშაო ადგილების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად, სადაც მიმდინარე და დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით დადგენილი იქნა დისკრიმინაციის შემთხვევები.

დიაგრამა №9

სამუშაო ადგილების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს ეროვნულული კლასიფიკატორის (სეკ-2016) შესაბამისად, სადაც მიმდინარე და დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით დადგენილ იქნა დისკრიმინაციის შემთხვევები[8]



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

ზემოხსენებულ 5 ორგანიზაციაში, სადაც **მიმდინარე და დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით დადგენილ იქნა დისკრიმინაციული მოპყრობა**, აღნიშნულ ფაქტს ადგილი ჰქონდა 4 პირთან მიმართებით. მათ შორის, 3 **ქალი** და 1 **კაცი**, ხოლო ერთ შემთხვევაში სისტემური (არაერთი დასაქმებული) სახით.

დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენის **ოთხ შემთხვევაში** მეწარმე სუბიექტების მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის სახედ გამოყენებულ იქნა **ჯარიმა.** კერძოდ, სშკ 77-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესის გათვალისწინებით, შესაბამისი ჯარიმის სამმაგი ოდენობა. ხოლო ერთ შემთხვევაში, ხელმძღვანელი პირის მხრიდან მის დაქვემდებარებაში მყოფი დასაქმებულის სექსუალური შევიწროების დადგენის მიუხედავად, დამსაქმებელი გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან, რადგან მან შეასრულა სშკ 78-ე მუხლის შენიშვნის მოთხოვნა, კერძოდ მისთვის ცნობილი გახდა სექსუალური შევიწროების ფაქტი და მან ამ ფაქტის შესახებ შეატყობინა შრომის ინსპექციას და მიიღო შესაბამისი ზომები აღნიშნული ქმედების აღსაკვეთად.

გ) დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილი საჩივრების საფუძველზე განხორციელებული ინსპექტირებების ფარგლებში, როგორც მიმდინარე, ასევე, დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით **არაჯანსაღი ან/და მტრული სამუშაო გარემოს არსებობა,** ასევე დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებების პრაქტიკაში აღსრულების გამოწვევები, გამოვლინდა **14 სუბიექტის მიმართ.** შესაბამისად, დამსაქმებლებს დაეკისრათ ანტიდისკრიმინაციული დებულებების როგორც შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ დოკუმენტებში გაწერის, ასევე, მისი პრაქტიკაში უზრუნველყოფის/აღსრულების ვალდებულება, დასაქმებულთა (როგორც ხელმძღვანელ პოზიციებზე, ისე მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირების) ცნობიერების ამაღლება და არაჯანსაღი სამუშაო გარემოს პრევენციის მიმართულებით შესაბამისი ქმედებების განხორციელება.

[8] ეკონომიკური საქმიანობის სახეები საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (სეკ-2016) შესაბამისად (NACE REV. 2) იხილეთ დანართში - ცხრილი N1

N 10 დიაგრამაზე წარმოდგენილია სამუშაო ადგილების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად, სადაც მიმდინარე, ასევე, დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით **არაჯანსაღი ან/და მტრული სამუშაო გარემოს არსებობა,** ასევე დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებების პრაქტიკაში აღსრულების გამოწვევები გამოვლინდა:

დიაგრამა №10

სამუშაო ადგილების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად, სადაც მიმდინარე, ასევე, დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით არაჯანსაღი ან/და მტრული სამუშაო გარემოს არსებობა, ასევე, დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებების პრაქტიკაში აღსრულების გამოწვევები გამოვლინდა[9]



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

ზემოხსენებული **14 ორგანიზაციდან,** სადაც მიმდინარე, ასევე, დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით **არაჯანსაღი ან/და მტრული სამუშაო გარემოს არსებობა,** ასევე, დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებების პრაქტიკაში აღსრულების გამოწვევები გამოვლინდა, სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში ინფორმაციის წარმოდგენისას:

- 12 ორგანიზაციის შემთხვევაში საჩივრის ავტორი იყო ქალი, მათგან ერთ შემთხვევაში ქალების კოლექტიური საჩივარი; (იდენტიფიცირებადია **10 ქალი საჩივრის ავტორი** 30-დან 65 წლამდე; **1 ქალი საჩივრის ავტორი** 18 დან 30 წლამდე);
- 1 საჩივრის ავტორი კაცი; (18 დან 30 წლამდე)
- 1 შემთხვევაში კი ადგილი ჰქონდა სისტემური ხასიათის დარღვევას.

3.2.3 18 წლამდე პირთა მიმართ გამოვლენილი შრომითი ნორმების დარღვევები

საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული 18 წლამდე არასრულწლოვანის შრომითი უფლებების აღსრულებაზე ზედამხედველობის შედეგად 2024 წლის საანგარიშო პერიოდში დარღვევა გამოვლინდა **9 სამუშაო ადგილზე 30 არასრულწლოვანთან** მიმართებით, მათ შორის:

[9] ეკონომიკური საქმიანობის სახეები საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (სეკ-2016) შესაბამისად (NACE REV. 2) იხილეთ დანართში - ცხრილი N1

- საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ განსაზღვრული ნორმების დარღვევა **7 სამუშაო ადგილზე,** 28 არასრულწლოვანთან მიმართებით;
- საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მეხუთე მუხლის მეექვსე პუნქტის დარღვევა **2 სამუშაო ადგილზე,** 2 არასრულწლოვანთან მიმართებით;

გამოვლენილი დარღვევების შედეგად სამსახურის მიერ შედგენილ იქნა შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს შესაბამისად გაიცა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი - დაჯარიმების შესახებ.

რაც შეეხება, არასრულწლოვანთა მიმართ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ განსაზღვრული შრომით უფლებებზე ზედამხედველობის შედეგად გაცემულ მითითებებს (ჯამში 24 მითითება 26 დარღვევაზე), აღნიშნული ასახულია N3 ცხრილში:

ცხრილი №3

საქართველოს ორგანულ კანონზე ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-ზე ზედამხედველობისას 18 წლამდე არასრულწლოვანთა მიმართ გამოვლენილი დარღვევები

საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა		
მუხლი 10	ჯამში	1
10.5		1
მუხლი 12	ჯამში	1
12.4		1
მუხლი 14	ჯამში	1
14.1.ე		1
მუხლი 20	ჯამში	4
20.2		3
20.4		1

საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა		
მუხლი 24	ჯამში	8
24.4		1
24.7		1
24.8		1
24.11		5
მუხლი 26		1
26		1
მუხლი 27	ჯამში	6
27.1		5

საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა		
27.2		1
მუხლი 36	ჯამში	1
36		1
მუხლი 41	ჯამში	1
41.1		1
მუხლი 44	ჯამში	1
44		1
მუხლი 46	ჯამში	1
46.4		1

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

როგორც აღინიშნა, **შრომის უსაფრთხოების ნორმებზე განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში** სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ გამოვლინდა საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მეხუთე მუხლის მეექვსე პუნქტის დარღვევის **ორი** ფაქტი, რომელიც მოიცავს დამსაქმებლის ვალდებულებას არ დაასაქმოს 18 წლამდე პირი (არასრულწლოვანი) ისეთ პოზიციაზე, რომელმაც სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. გარდა ამისა, ,,18 წლამდე ასაკის პირისთვის მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის

30 ნოემბერის №01-126/ნ ბრძანებით განსაზღვრულია იმ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა შესრულება აკრძალულია 18 წლამდე ასაკის პირისთვის. კანონის მიხედვით, არასრულწლოვნის მიერ შესასრულებელი ყველა სახის სამუშაო უნდა შეფასდეს კანონით დადგენილი წესით. ასევე, უნდა განხორციელდეს ჯანმრთელობის მდგომარეობის, სამუშაო გარემოსა და სამუშაო პროცესის რეგულარული მონიტორინგი.

ზემოხსენებულის საფუძველზე, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურმა ზედამხედველობის ქ. ბათუმსა და ქ. თბილისში ოპერირებად სამშენებლო ობიექტზე დააფიქსირა არასრულწლოვნის (16-დან 18 წლამდე) მუშაობის ფაქტი და კრიტიკული შეუსაბამობების შესაბამისად ადმინისტრაციული სახდელის სახედ გამოიყენა **სამუშაო პროცესის შეჩერება.**

რაც შეეხება, საანგარიშო პერიოდში 18 წლამდე არასრულწლოვანის შრომითი უფლებების დარღვევების შედეგად დაზარალებული პირების შესახებ ინფორმაციას, აღნიშნული ასახულია №11 დიაგრამაზე:

დიაგრამა №11

საქართველოს ორგანული კანონზე „საქართველოს შრომის კოდექს“-ზე და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონზე განხორციელებული ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილი 18 წლამდე არასრულწლოვანის შრომითი უფლებების დარღვევის შედეგად დაზარალებული პირები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

№12 დიაგრამაზე წარმოდგენილია ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და რეგიონების მიხედვით იმ სამუშაო ადგილების რაოდენობა (ჯამში 9 ობიექტი), სადაც გამოვლინდა საქართველოს ორგანულ კანონზე „საქართველოს შრომის კოდექს“-ზე და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონზე ზედამხედველობის შედეგად არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტები.

დიაგრამა №12

18 წლამდე არასრულწლოვანთან მიმართებით საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“-თა და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ნორმების დარღვევის ფაქტების მქონე ობიექტების რაოდენობა რეგიონულ და სექტორულ ჭრილში, საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად



	თბილისი	აჭარა	კახეთი	ქვემო ქართლი
F მშენებლობა	1	1		
G საბითუმო და საცალო ვაჭრობა	1			1
I განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	3		1	
N დამხმარე მომსახურების საქმიანობა				1

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

წარმოდგენილი ინფორმაციიდან ნათლად ჩანს, რომ სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მანდატის ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობის შედეგად **ყველაზე ხშირად** 18 წლამდე არასრულწლოვნის **შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტს** ადგილი ჰქონდა **განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების I სექციაში**.

სამსახური ინტენსიურ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას 18 წლამდე არასრულწლოვან დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის ეფექტურად აღსრულებისთვის.

3.2.4 იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები

„იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით, სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის №112 დადგენილების შესაბამისად, 2024 წელს გეგმიური სიის შესაბამისად აქტივობა განხორციელდა 300 კომპანიაზე, რომლეთაგან ინსპექტირება განხორცილედა 195 ობიექტზე, აღნიშნული ობიექტებიდან 192 იყო გეგმური, ხოლო 3 არაგეგმური.

განხორციელებული არაგეგმური ზედამხედველობის ფარგლებში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ 1 ობიექტზე, სადაც გამოვლენილ იქნა შრომითი ტრეფიკინგის სავარაუდო ფაქტი. საქმე რეფერირებული იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ,, ქვეპუნქტით.

თავი 4. სამართალდარღვევის ოქმების შედგენისა და ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში გასაჩივრების პროცესისა და შედეგების მიმოხილვა

4.1 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წარმოებისას შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის ძირითადი დებულებები

„შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მანდატის ფარგლებში, სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა შრომითი ნორმების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მასზე სათანადო რეაგირება. სამსახური, განხორციელებული ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილი შრომითი ნორმების დარღვევისთვის, განსაზღვრავს კანონით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და იყენებს შემდეგ ადმინისტრაციულ სახდელებს:

- ☐ გაფრთხილება;
- ☐ ჯარიმა;
- ☐ სამუშაო პროცესის შეჩერება.

სამართალდარღვევის ოქმთან ერთად, სამსახური გასცემს მითითებას, სადაც ჩაიწერება:

- ✓ აღწერილია დარღვევის შინაარსი (დეტალურად);
- ✓ კანონისმიერი საფუძველი, რაც გახდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის მიზეზი და ქმედება შეფასებულ იქნა ადმინისტრაცილ სამართალდარღვევად;
- ✓ გონივრული ვადა, დაფიქსირებული დარღვევების გამოსასწორებლად (გონივრულ ვადას სამსახური განსაზღვრავს დამსაქმებელსა და დასაქმებულთა გაერთიანებასთან (არსებობის შემთხვევაში) ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელთან (არსებობის შემთხვევაში) კონსულტაციის საფუძველზე).

აღმოჩენილი დარღვევის გამოსასწორებლად გაცემული მითითებით დადგენილი გონივრული ვადის გასვლის შემდეგ, სამსახური ამოწმებს სამართალდამრღვევს, რის შესახებაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აღინიშნება მხარეთა მიერ დადგენილ ვადაში მითითების შესრულების ან/და შეუსრულებლობის თაობაზე ინფორმაცია. გაცემული მითითების გონივრულ ვადაში გამოუსწორებლობის შემთხვევაში შრომის ინსპექციის სამსახური იღებს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული სახდელის ხელახლა გამოყენებისა და გაცემული მითითების შესასრულებლად სამართალდამრღვევისთვის დამატებითი გონივრული ვადის მიცემის შესახებ. აღნიშნული პროცესი, განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში, გრძელდება მანამ, სანამ სამართალდამრღვევი სრულად არ უზრუნველყოფს გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრას.

მას შემდეგ რაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი ჩაბარდება უფლებამოსილ პირს, მას შეუძლია:

ა) დაეთანხმოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმს. სანქციის სახედ ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში გადაიხდოს დაკისრებული სახდელი ოქმის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება სამართალდამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდა, სამართალდამრღვევს

დაეკისრება საურავი აღნიშნული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ბ) არ დაეთანხმოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმს და გაასაჩივროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლით დადგენილი წესით სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან/გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, ოქმის შემდგენლის ზემდგომ თანამდებობის პირთან – სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარ შრომის ინსპექტორთან (მის: ქ. თბილისი, მიხეილ თამარაშვილის ქ. N15ა), რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ხელმძღვანელთან წარდგენილი საჩივრების განხილვა ხდება სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებთან/აქტებთან დაკავშირებით არსებულ საჩივრების განმხილველ კომისიაზე, რომელიც არის სამსახურის მთავარი შრომის ინსპექტორის სათათბირო ორგანო და ანგარიშვალდებულია მის წინაშე. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებთან/აქტებთან დაკავშირებით სამსახურში შემოსული საჩივრების განხილვა ხდება კოლეგიურად, ღია სხდომაზე. კომისია უფლებამოსილია:

- ✓ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განიხილოს სადავოდ გამხდარი, სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის/აქტის კანონიერების საკითხი;
- ✓ კომისიის სხდომაზე მონაწილეობის მიზნით, მოიწვიოს დაინტერესებული მხარეები და სხვა უფლებამოსილი პირები (რომელთა მონაწილეობაც მნიშვნელოვანია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის);
- ✓ მასზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელების მიზნით, გამოითხოვოს დოკუმენტები და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საჯარო/კერძო დაწესებულებებიდან;

კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილების მიღება ხდება ღია კენჭისყრის წესით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

კომისია მისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ☐ საჩივრის დაკმაყოფილების/ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და საქმის ხელახალი განხილვის მიზნით წარმოების დაწყების შესახებ;
- ☐ საჩივრის დაკმაყოფილებისა და საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ;
- ☐ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სადავო აქტის უცვლელად დატოვების შესახებ;
- ☐ საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

4.2 2024 წელს სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდრღვევის ოქმები (სრულად) და გასაჩივრებული ოქმების სტატისტიკური ანალიზი

როგორც უკვე აღინიშნა, სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით საქმიანობას ახორციელებს 2021 წლიდან, შესაბამისად სწორედ ამ თარიღიდან დაიწყო შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების აღრიცხვა/კატეგორიზაცია. აღრიცხვა მიმდინარეობს კონკრეტული ობიექტის მიმართ შედგენილი სამართალდარღვევის ყოველი კონკრეტული ოქმის შესაბამისად, ხოლო კატეგორიზაციისთვის გამოიყენება სხვადასხვა მაჩვენებლები (მათ შორის, გამოვლენილი დარღვევები, დაკისრებული სახდელის სახე, შედგენის პერიოდი და ა.შ.). სწორედ შეგროვებული და დამუშავებული მონაცემების საფუძველზე გახდა შესაძლებელი ერთი მხრივ შედგენილი სამართალდარღვევათა ოქმების ანალიზი, ხოლო მეორე მხრივ სამართალდამრღვევთა პოზიციის დადგენა, შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. კერძოდ, შესაძლებელი გახდა გამოვლენილიყო შედგენილი სამართალდარღვევის ოქმებიდან, სამართალდამრღვევთა მიერ ოქმის გასაჩივრების პროცენტული მაჩვენებელი. ამრიგად, 2021-2024[10] წლებში დაწერილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების/დადგენილებების რაოდენობა ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების რაოდენობითა და შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლით წარმოდგენილია N13 დიაგრამაზე:

დიაგრამა N13

2021-2024 წლებში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ დაწერილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების/დადგენილებებისა და მათი გასაჩივრებების რაოდენობა, გასაჩივრების მაჩვენებლით



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

როგორც აღინიშნა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების/დადგენილებების გასაჩივრება სამართალდამრღვევის ერთ-ერთი მთავარი უფლებაა. იმის გათვალისწინებით, რომ უმეტესად სამართალდამრღვევი არის დამსაქმებელი, რიგ შემთხვევებში გასაჩივრების მექანზმი არის ერთგვარი თავის დაცვის საშუალება დამსაქმებლისთვის. შესაბამისად, გამოიკვეთა, რომ <u>გასაჩივრების მიზეზი</u>

[10] სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურში 2024 წელს გასაჩივრებული ოქმების შესახებ ინფორმაცია დამუშავებულია 2025 წლის იანვრის მდგომარეობით.

შესაძლოა არა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გაზიარებაზე უარის თქმა იყოს, არამედ გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორის, დამსაქმებელთა მხრიდან შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობებისა თუ პასუხისმგებლობების შესახებ ნაკლები ინფორმირებით, ნორმების უხეში დარღვევით, ჯარიმის გადახდის ვადების გადავადების სურვილით და სხვა. თუმცა, მიუხედავად მთელი რიგი ფაქტორებისა, რაც ზემოქმედებას ახდენს გასაჩივრების მიზეზებზე, N13 დიაგრამაზე წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს, რომ სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების/დადგენილებების **გასაჩივრების მაჩვენებელს აქვს აშკარა კლების ტენდენცია და ეს კლება შენარჩუნებულია 4 წლიან საანგარიშო პერიოდში.** აღნიშნული კი **ცალსახად მიუთითებს, ერთი მხრივ, შრომის კანონმდებლობის აღსრულების ეფექტიანობაზე და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიზნობრივი პოლიტიკისა და სტრატეგიული დოკუმენტებით დაგეგმილი აქტივობების (მათ შორის, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის) ეფექტიანობაზე.**

რაც შეხება, უშუალოდ ზედამხედველობის მიმართულებების გათვალისწინებით მონაცემებს, **შრომის უსაფრთხოების მიმართულებით გამოიკვეთა გაცილებით უფრო მზარდი კლების ტენდენცია,** რომლის ერთ-ერთი მნიშნელოვანი მიზეზი შესაძლოა იყოს უფრო ადრე, 2018 წლიდან დაწყებული რეფორმა შრომის უსაფრთხოების საკითხებზე[11]. აღნიშნული კი მიუთითებს, რომ **დამსაქმებელთა ცნობიერების ამაღლება დადებით გავლენას ახდენს არამხოლოდ დარღვევების აღმოფხვრის მაჩვენებელზე, არამედ ზრდის ჩადენილი სამართალდარღვევის შემჩნევისა და აღიარების მაჩვენებელს.** 2021-2024 წლებში შედგენილი სამართალდარღვევის ოქმებიდან გასაჩივრების მაჩვენებელი მიმართულებების მიხედვით წარმოდგენილია N14 და N15 დიაგრამებზე:

დიაგრამა N14

2021-2024 წლებში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შრომის უსაფრთხოების ნორმებზე განხორციელებული ზედამხედველობის მიმართულებით დაწერილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებისა და მათი გასაჩივრებების პროცენტული მაჩვენებელი



[11] „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულ იქნა 2018 წლის 7 მარტს, ხოლო „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი 2019 წლის 19 თებერვალს, შესაბამისად შრომის უსაფრთხოების ნორმების აღსრულებაზე ზედამხედველობა დაიწყო 2-3 წლით ადრე.

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

N14 დიაგრამა კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოხსენებულ დასკვნებს ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ეფექტიანობასთან მიმართებით. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, შრომის უსაფრთხოების ნორმებზე ზედამხედველობა სათავეს 2018 წლის აგვისტოდან იღებს, თუმცა იმ სახით რა მანდატიც დღეისთვის არის ამ მიმართულებით განსაზღვრული, 2019 წლის პირველი სექტემბრიდან გახლავთ წარმოდგენილი. შესაბამისად, წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებულ ფაქტებსა და მიღებულ მონაცემებს შორის, მიუთითებს შრომის უსაფრთხოების მიმართულებით, ერთი მხრივ, პროაქტიული ღონისძიებების, მათ შორის, ცნობიერების ამაღლების კუთხით გატარებული ღონისძიებების ეფექტურობაზე, მეორე მხრივ, შრომის ინსპექტორების საკომუნიკაციო და ტექნიკური უნარების გაძლიერებაზე.

დიაგრამა N15

2021-2024 წლებში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შრომით უფლებებზე განხორციელებული ზედამხედველობის მიმართულებით დაწერილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებისა და მათი გასაჩივრებების პროცენტული მაჩვენებელი



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

N 15 დიაგრამით წარმოდგენილი მონაცემების ანალიზისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას შრომით უფლებებზე ზედამხედველობის მანდატის კანონმდებლობით განსაზღვრის პერიოდი, რომელიც სამსახურს 2021 წლიდან მიენიჭა. აქვე აღსანიშნავია, რომ გატარებული რეფორმის შემდეგ, პირველი თვეები დაეთმო უმეტესად ცნობიერების ამაღლების მიმართულებას, ხოლო შედგენილ სამართალდარღვევის ოქმებთან მიმართებაში, სახდელის სახედ გამოყენებული იქნა უმეტესწილად გაფრთხილება.[12] გარდა ამისა, გასათვალისწინებელია 2023 წლიდან ჯანდაცვის სექტორში მინიმალური საათობრივი ანაზღაურების განსაზღვისა და 2024 წლიდან მისი მოცვის გაფართოების საკითხიც, რომელმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა უწყების საქმისწარმოების პროცესზე. სწორედ სამსახურის მანდატის ამ გაფართოებით, ახალი მიმართულების შემოტანით და ამ მიმართულებით ცნობიერების ნაკლებობით აიხსნება 2024 წელს გასაჩივრების მაჩვენებლის ზრდა (1.8%-ით) 2023 წელთან შედარებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შრომით უფლებებზე

[12] იხ. სსიპ-შრომის ინსპექციის სამსხურის წლიური ანგარიშები ბმულზე: https://lio.moh.gov.ge/report.php?lang=1&id=2

განხორციელებული ზედამხედველობის მიმართულებით გასაჩივრების მაჩვენებლის მერყეობა უახლოეს პეროდშიც მოსალოდნელია, ვინაიდან სამსახურის მანდატი ეტაპობრივად ფართოვდება („შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების აღსრულებაზე კონტროლი 2023 წლის სექტემბრიდან განისაზღვრა), თუმცა, ინსტიტუციური გაძლიერების ფონზე აღნიშნული მაჩვენებლის დასტაბილურება და გრძელვადიან პერიოდში კლების მაჩვენებლის შენარჩუნება პროგნოზირებადია.

ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების მაჩვენებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია შრომის ინსპექციის საქმიანობის ეფექტიანობის შესაფასებლად, თუმცა, ამავე ჭრილში მნიშვნელოვანია შეფასდეს შრომის ინსპექციის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის საჩივრების განყოფილების მიერ განხილული საჩივრების შედეგად მიღებული დადგენილებების სასამართლოში გასაჩივრების მაჩვენებელი, რაც საშუალებას მოგვცემს დადგინდეს საბოლოოდ რამდენ შემთხვევაში იყო უკმაყოფილო სამართალდამრღვევი შრომის ინსპექციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.

2023-2024 წლის სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ 2023 წელს განხილული საჩივრებიდან, რომლის შედეგად უწყების მიერ გამოცემულ იქნა 186 დადგენილება, სასამართლოში გასაჩივრდა 60. შესაბამისად 126 შემთხვევაში (68%-ში) ადმინისტრაციული საჩივრის ავტორისთვის მისაღები იყო შრომის ინსპექციის სამსახურის (ზემდგომი თანამდებობის პირის) გადაწყვეტილება და აღარ ჩათვალა მიზანშეწონილად მისი შემდგომი გასაჩივრება სასამართლოში. შესაბამისად, შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების (ზემდგომი თანამდებობის პირის გადაწყვეტილების ჩათვლით) გასაჩივრების მაჩვენებელი კიდევ უფრო მცირეა (ვინაიდან მხოლოდ მიღებული დადგენილებების 1/3 საჩივრდება საქართველოს საერთო სასამართლოებში), ვიდრე ეს წარმოდგენილია N 15 დიაგრამით.

რაც შეეხება, სამსახურის მიერ დაწერილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებთან მიმართებაში სასამართლოში გასაჩივრების სტატისტიკას. [13] 2024 წელს საქართველოს საერთო სასამართლოებში სულ დარეგისტრირდა 155 სამართალდარღვევის საქმე. აღნიშნული საჩივრებიდან ნაწილი განეკუთვნება 2021-2023 წლებში დაწერილ სამართალდარღვევის ოქმებს (მათ შორის: 2023 წლის ბოლოს დაწერილი ოქმები, რომლის გასაჩივრების ვადა 2024 წელს დადგა, ასევე, 2021-2023 წელს შედგენილი სამართალდარღვევის ოქმები, რომელიც გასაჩივრებული იყო ადმინისტრაციულ ორგანოში და შემდგომ გასაჩივრდა სასამართლოში და 2021-2024 წლებში გამოცემული საურავის დადგენილებები) და 2024 წელს შედგენილ სამართალდარღვევის ოქმებზე საჩივრებს. აღსანიშნავია, რომ 155 საჩივრიდან:

- ☐ **შრომითი უფლებების მიმართულებით** საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ განსახილველად მიღებულ იქნა **88 სამართალდარღვევის საქმე**;
- ☐ **შრომის უსაფრთხოების მიმართულებით** საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ წარმოებაში მიღებულ იქნა **67 საქმე**/

[13] იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე შეუძლებელია ზუსტი სტატისტიკის წარმოება წლის ჭრილში სასამართლოში არსებულ საჩივრების რაოდენობასთან მიმართებით, ამ მიმართულებით ანალიზის, დასკვნებისა და პროგნოზის წარმოდგენა არ იქნება ზუსტი

ასევე, აღსანიშნავია, რომ 2024 წლის საანგარიშო პერიოდში სასამართლოს მიერ დაყენებულ იქნა 134 შუამდგომლობა სამუშაო პროცესის შეჩერების თაობაზე, რომელიც წარდგენილ იქნა სასამართლოში სამართალდარღვევის ოქმთან ერთად, ოქმის შედგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა. სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა ყველა შუამდგომლობა და 134-ვე შემთხვევაში ძალაში დატოვა სამსახურის გადაწყვეტილება კრიტიკული შეუსაბამობების გამო სამუშაო პროცესის შეჩერების თაობაზე.

თავი 5. სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევები

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი სამუშაო სივრცეში მომხდარ უბედურ შემთხვევას განმარტავს, როგორც სამუშაო პროცესში ან სამუშაო პროცესთან დაკავშირებით მომხდარ შემთხვევას, რომელსაც შედეგად მოჰყვა დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა, გარდაცვალება ან მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება.

თავის მხრივ, ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, დამსაქმებელი ვალდებულია ზედამხედველ ორგანოს აცნობოს უბედური შემთხვევის შესახებ „სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-11/ნ ბრძანების შესაბამისად.

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევა კლასიფიცირდება მისი შედეგებისა და ერთ ჯერზე დაშავებული ან გარდაცვლილი ადამიანების რაოდენობის მიხედვით, შემდეგნაირად:

- ☐ ***მსუბუქი უბედური შემთხვევა*** – უბედური შემთხვევის გამო მსუბუქი დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვის გარეშე ან შრომისუნარიანობის დაკარგვით არაუმეტეს 3 დღისა;
- ☐ ***საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა*** – უბედური შემთხვევის გამო დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვით 3 დღიდან 40 დღემდე;
- ☐ ***მძიმე უბედური შემთხვევა*** – უბედური შემთხვევის გამო მუდმივი შრომისუუნარობის განვითარება ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან/და დროებითი შრომისუუნარობის განვითარება 40 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით;
- ☐ ***ფატალური უბედური შემთხვევა*** – უბედური შემთხვევის გამო ადამიანის (დასაქმებულის ან სხვა პირის) სამუშაო ადგილზე ან უბედური შემთხვევიდან 1 წლის განმავლობაში გარდაცვალება;
- ☐ ***მასობრივი უბედური შემთხვევა*** – უბედური შემთხვევის გამო 3 ან მეტი ადამიანის დაშავება, მათ შორის, 1 მძიმე უბედური შემთხვევა ან 1 ფატალური უბედური შემთხვევა.

როგორც აღინიშნა, ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლისა და მინისტრის №01-11/ნ ბრძანების შესაბამისად დამსაქმებელი ვალდებულია, შეატყობინოს ზედამხედველ ორგანოს **საშუალო, მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევების** შესახებ. შესაბამისად, ზედამხედველი ორგანოს მიერ ხდება იმ საწარმოო უბედური შემთხვევების აღრიცხვა, რომლებიც კლასიფიცირდება საშუალო, მძიმე, ფატალური და მასობრივ შემთხვევებთან.

ორგანიზაციაში მომხდარი უბედური შემთხვევების მოკვლევასა და აღრიცხვას აწარმოებს სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური. საანგარიშო პერიოდში კი სამსახურის მიერ მოკვლეულ იქნა ყველა ფატალური, არაფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევა.

ზემოხსნებულის შემდეგად სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურმა განახორციელა სამუშაო სივრცეში მომხდარ, ყველა აღრიცხულ, **294 შემთხვევაზე მოკვლევა/ინსპექტირება.**

2024 წლის საანგარიშო პერიოდში სამუშაო ადგილზე გარდაიცვალა 33 და დაშავდა 257. გარდაცვლილი 33 პირიდან ყველა კაცია, ხოლო დაშავებულთაგან 59 ქალი და 198 კაცი. აღრიცხული არაფატალური 257 უბედური შემთხვევიდან:

- **71 შემთხვევა** კლასიფიცირდა, როგორც **მძიმე** უბედური შემთხვევა **(ქალი 6; კაცი 65)**;
- **186 შემთხვევა** კი, როგორც **საშუალო სიმძიმის** უბედური შემთხვევა **(ქალი 53; კაცი 133);**

2024 წელს აღრიცხულ შემთხვევათაგან დაფიქსირდა ერთი მასობრივი უბედური შემთხვევა, რომლის დროსაც 4 დასაქმებული მძიმედ 3 კი მსუბუქად დაშავდა.

შენიშვნა: სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ სტატისტიკური მონაცემები სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შეგროვებული და დამუშავებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზნებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით.

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა, მათ შორის, სქესისა და საქართველოში დასაქმებულ შრომით იმიგრანტთა მიხედვით, წარმოდგენილია № 4 ცხრილში.

ცხრილი №4

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილ და დაშავებულ დასაქმებულთა რაოდენობა სქესისა და საქართველოში დასაქმებულ შრომით იმიგრანტთა მიხედვით

სქესი	სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილ და დაშავებულ დასაქმებულთა რაოდენობა	დაშავებულთა რაოდენობა	გარდაცვლილთა რაოდნეობა
ჯამში	ჯამში	**257**	**33**
	მათ შორის, საქართველოში დასაქმებული შრომითი იმიგრანტი	**18**	**3**
კაცი	ჯამში	**198**	**33**
	მათ შორის, საქართველოში დასაქმებული შრომითი იმიგრანტი	**17**	**3**
ქალი	ჯამში	**59**	**0**
	მათ შორის, საქართველოში დასაქმებული შრომითი იმიგრანტი	**1**	**0**

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევები კლასიფიცირების, სქესისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების (NACE Rev.2) სეკ 2016 -ის შესაბამისად ნაჩვენებია №5 ცხრილში

ცხრილი №5

კლასიფიცირებული საწარმოო უბედური შემთხვევები სქესობრივ ჭრილში ეკონომიკური საქმიანობის სახეების სეკ (NACE REV.2) 2016-ის შესაბამისად				
ეკონომიკურ საქმიანობის სახეების სეკ (NACE Rev.2) (2016)	ქალი		კაცი	
	მძიმე	საშუალო	მძიმე	საშუალო
ჯამში	**6**	**53**	**65**	**133**
	59		**198**	
B სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერის დამუშავება	0	0	0	14
C დამამუშავებელი მრეწველობა	1	5	18	20
D ელექტროენერგიის, აირის და ორთქლის მიწოდება	0	0	1	5
E წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა	1	0	2	8
F მშენებლობა	0	0	27	31
G საბითუმო და საცალო ვაჭრობა	1	19	9	20
H ტრანსპორტი და დასაწყობება	0	1	7	10
I განთავსების საშუალებები და კვების მიწოდების საქმიანობები	2	22	0	17
K კომერციული ბანკების საქმიანობები	1	0	0	0
M პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	0	0	0	4
P განათლება	0	1	0	1
Q ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	0	3	1	0
R ხელოვნება, გართობა და დასვენება	0	2	0	3

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა ეკონომიკურ საქმიანობის სახეების სეკ (NACE Rev.2) (2016) -ის შესაბამისად წარმოდგენილია №16 დიაგრამაზე:

დიაგრამა №16

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილ და დაშავებულ დასაქმებულთა რაოდენობა სქესისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების სეკ-2016-ის მიხედვით



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

შენიშვნა: სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ სტატისტიკური მონაცემები სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შეგროვებული და დამუშავებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზნებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით.

სამუშაო ადგილებზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად:

- ➔ სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერის დამუშავების **B სექციაში** გარდაცვლილია 1 და დაშავებულია 14 დასაქმებული;
- ➔ დამამუშავებელი მრეწველობის **C სექციაში** გარდაცვლილია 5 და დაშავებულია 44 დასაქმებული;

- ელექტროენერგიის, აირის და ორთქლის მიწოდების საქმიანობების **D სექციაში** გარდაცვლილია 3 დაშავებულია 6 დასაქმებული;
- წყალმომარაგების, ნარჩენების მართვის საქმიანობის **E სექციაში** გარდაცვლილია 1 და დაშავებულია 11 დასაქმებული;
- მშენებლობის **F სექციაში** გარდაცვლილია 23 და დაშავებულია 58 დასაქმებული;
- საბითუმო და საცალო ვაჭრობის საქმიანობის **G სექციაში** დაშავებულია 49 დასაქმებული;
- ტრანსპორტისა და დასაწყობების საქმიანობის **H სექციაში** დაშავებულია 18 დასაქმებული;
- განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და კვების მიწოდების საქმიანობების **I სექციაში** დაშავებულია 41 დასაქმებული;
- საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების **K სექციაში** დაშავებულია 1 დასაქმებული;
- პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების **M სექციაში** დაშავებულია 4 დასაქმებული;
- განათლების **P სექციაში** დაშავებულია 2 დასაქმებული;
- ჯანდაცვის საქმიანობების **Q სექციაში** დაშავებულია 4 დასაქმებული;
- ხელოვნების, გართობისა და დასვენების **R სექციაში** დაშავებულია 5 დასაქმებული.

რეგიონების მიხედვით სამუშაო ადგილზე გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა განაწილებულია №17 დიაგრამაზე.

დიაგრამა №17

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილ და დაშავებულ დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით



	აჭარა	გურია	თბილისი	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
დაშავებული	30	2	134	35	8	10	1	6	8	21	2
გარდაცვლილი	7	0	10	5	1	1	0	2	2	3	2

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

ფატალურ შემთხვევათაგან რეგიონულ და სექტორულ დონეზე შემთხვევები წარმოდგენილია №18 დიაგრამაზე:

დიაგრამა №18

ფატალური შემთხვევები რეგიონულ და სექტორულ დონეზე



	თბილისი	იმერეთი	აჭარა	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	სამცხე-ჯავახეთი
B სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერის დამუშავება		1							
C დამამუშავებელი მრეწველობა	1	1		1		1	1		
D ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება		2							1
E წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა, და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები									1
F მშენებლობა	9	1	7		2	2	1	1	

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების მოკვლევის შედეგად დაშავებულ პირთათვის მიყენებული სხვადასხვა ტიპის დაზიანებათა ფარდობითი სიხშირეები თვალსაჩინოდ ნაჩვენებია №19 და №20 დიაგრამაზე.

დიაგრამა №19

დაზიანებათა ტიპების ფარდობითი სიხშირეები



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

დიაგრამა №20

სხეულის დაზიანების ლოკაციის ფარდობითი სიხშირეები



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

,,სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N01-11/ნ ბრძანების დანართი 1.2-ის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურში გამოგზავნილი მოკვლევის ოქმებისა და სამსახურის მიერ განხორციელებული მოკვლევების საფუძველზე საწარმოო ინციდენტები ასაკობრივ ჭრილში ნაჩვენებია №21 დიაგრამაზე.

დიაგრამა №21

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა ასაკობრივ ჭრილში



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

როგორც დიაგრამიდან ჩანს ასაკის მიხედვით გარდაცვლილთა მაქსიმალური რაოდენობა გადანაწილდა 40-60 წლამდე ასაკობრივ დიაპაზონში, ხოლო დაშავებულთა მაქსიმალური რაოდენობა 20-40 წლამდე ასაკობრივ დიაპაზონში.

ქვეყანაში შრომით ნორმებზე სახელმწიფო კონტროლის ერთიანი პოლიტიკის განსახორციელებლად, 2020 წლის 6 თებერვალს საქართველოს მთავრობის №80 დადგენილებით ჩამოყალიბდა ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მეთოდებისა და რისკის შეფასების წესი, რომლის მიზანია რისკის დონის მიხედვით ეკონომიკური საქმიანობის საფრთხის შეფასება, კონტროლის ინტენსივობის დადგენა, იმ მეთოდებისა და წესების შემუშავება, რომელთა საშუალებითაც უნდა მოხდეს სხვადასხვა დარგზე მონიტორინგი, ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების მიზნით.

მეთოდოლოგია, საერთაშორისო გამოცდილებასა და ქვეყანაში მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემუშავდა, რომელიც სხვადასხვა ეკონომიკურ საქმიანობას ინდიკატორების საფუძველზე, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და ინციდენტობის კუთხით აჯგუფებს და ჰყოფს **განსაკუთრებით მაღალ, ძალიან მაღალ, მაღალ, საშუალო და დაბალ რისკის** სექტორებად. აღსანიშნავია, რომ პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მიზნით, საქმიანობების დაჯგუფებები რომელიც ცვალებადია 5 წლის მანძილზე შეგროვებული და დამუშავებული მონაცემების საფუძველზე, დაფუძნებულია ეროვნულ კლასიფიკატორზე სეკ (NACE Rev.2) (2016) [14] (აღნიშნული შეესაბამება ევროპულ კლასიფიკატორს – NACE Rev. 2 Statistical classification of economic activities in the European Community). პრიორიტეტული დარგების გადანაწილება 5 ძირითად კატეგორიაში ხორციელდება. ესენია: **განსაკუთრებით მაღალი რისკის, ძალიან მაღალი რისკის, მაღალი რისკის, საშუალო რისკისა და დაბალი რისკის ჯგუფები.**

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად დაშავებულთა და გარდაცვლილთა პროცენტული გადანაწილება პრიორიტეტული დარგების კატეგორიზაციის მიხედვით მოცემულია № 22 და №23 დიაგრამებზე:

[14] საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი *სეკ-2016): https://www.geostat.ge/media/13408/NACE-Rev-2_Georgian_2016.pdf

დიაგრამა №22

სამუშაო ადგილებზე გარდაცვლილთა გადანაწილება პრიორიტეტული დარგების კატეგორიზაციის მიხედვით



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა პრიორიტეტული დარგების მიხედვით შემდეგნაირია: **განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფში-24 შემთხვევა, ძალიან მაღალი რისკის ჯგუფში-6 შემთხვევა, ხოლო მაღალი რისკის ჯგუფში-3 შემთხვევა, საშუალო რისკის სექტორებსა და დაბალი რისკის სექტორებში გარდაცვალება არ ფიქსირდება.**

დიაგრამა №23

სამუშაო ადგილებზე დაშავებულთა გადანაწილება პრიორიტეტული დარგების კატეგორიზაციის მიხედვით



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად დაშავებულთა რაოდენობა პრიორიტეტული დარგების მიხედვით შემდეგნაირია: **განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფში-59 შემთხვევა, ძალიან მაღალი რისკის ჯგუფში - 27 შემთხვევა, მაღალი რისკის ჯგუფში - 76 შემთხვევა, საშუალო რისკის ჯგუფში - 84 შემთხვევა, დაბალი რისკის ჯგუფში - 11 შემთხვევა.**

უნდა აღინიშნოს, რომ ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი 2019 წლის 1 სექტემბრამდე ვრცელდებოდა მხოლოდ მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე, ხოლო 2019 წლის 1 სექტემბრიდან აღნიშნულმა მოიცვა ეკონომიკური

საქმიანობის ყველა დარგი, მათ შორის, საქართველოს ორგანული კანონითა „საქართველოს შრომის კოდექსი“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულ შრომით ურთიერთობები. იმის გამო, რომ ეკონომიკური საქმიანობის ყველა სექტორში დამსაქმებელს, მათ შორის, მათ, ვისაც არ გააჩნდათ უბედური შემთხვევის შესახებ შეტყობინების ვალდებულება 2019 წლის სექტემბრამდე და კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით 2019 წლის სექტემბრიდან გაუჩნდათ ეს ვალდებულება, შესაბამისად, შრომის ინსპექციის მიერ სწორედ ამ პერიოდიდან იწყება აღნიშნული შემთხვევების (საშუალო, მძიმე, ფატალური, მასობრივი) შეგროვება და დამუშავება.

2022-2024 წლებში აღრიცხული არაფატალური უბედური შემთხვევების რაოდენობა წარმოდგენილია №24 დიაგრამაზე.

დიაგრამა №24

2022-2024 წლებში სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად დაშავებულ დასაქმებულთა რაოდენობა (მძიმედ და საშუალო სიმძიმის)



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

2024 წელს საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად მძიმედ დაშავებულ დასაქმებულთა რაოდენობა შემცირებულია:

25%-ით 2023 წელთან შედარებით

18%-ით 2022 წელთან შედარებით

2024 წელს საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად საშუალო სიმძიმით დაშავებულ დასაქმებულთა რაოდენობა შემცირებულია:

26%-ით 2023 წელთან შედარებით

24%-ით 2022 წელთან შედარებით

2018-2024 წლებში სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილ დასაქმებულთა რაოდენობა წარმოდგენილია №25 დიაგრამაზე.

დიაგრამა №25

2018-2024 წლებში სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილ დასაქმებულთა რაოდენობა



	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
ფატალური	59	45	39	37	35	34	33
არაფატული	199	168	249	253	330	347	257

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

დიაგრამიდან ნათლად ჩანს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილ დასაქმებულთა რაოდენობრივი კლების დინამიკის შენარჩუნება, რაც 2018 წლიდან, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებიდან გრძელდება

2024 წელს ფატალური უბედური შემთხვევების რაოდენობა შემცირებულია:

3%-ით 2023 წელთან შედარებით;

6%-ით 2022 წელთან შედარებით;

11%-ით 2021 წელთან შედარებით;

15%-ით 2020 წელთან შედარებით;

26%-ით 2019 წელთან შედარებით;

44%-ით 2018 წელთან შედარებით;

2024 წელს საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად აღრიცხული ინციდენტების რაოდენობა შემცირებულია:

24%-ით 2023 წელთან შედარებით

21%-ით 2022 წელთან შედარებით

აქვე, აღსანიშნავია ის კოლერაცია, რაც აქტიური ბიზნეს სუბიექტების, დასაქმებულთა რაოდენობისა და სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების რაოდენობასთან ურთიერთდამოკიდებულებაში შეიმჩნევა: კერძოდ, ბოლო 3 წლის მანძილზე[15]

დიაგრამა №26

2022-2024 წლებში სამუშაო სივრცეში მომხდარი ინციდენტების, ქვეყანაში აქტიური სუბიექტებისა და დასაქმებულთა რაოდენობა



N 26-ე დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ მიუხედავად აქტიური ბიზნეს სუბიექტებისა და დასაქმებულთა რაოდენობების ზრდისა პირდაპირპროპორციულადაა შემცირებული სამუშაო სივრცეში მომხდარი ინციდენტების რაოდენობა და შესაბამისად ინციდენტობის მაჩვენებელი[16].

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ხაზგასასმელია სამუშაო სივრცეში აღრიცხული ინციდენტების რადიკალური კლება 2024 წლისთვის, რაც სახელმწიფოს მიზნობრივი პოლიტიკისა და სტრატეგიული დოკუმენტებით დაგეგმილი აქტივობების ეფექტურობაზე და კანონმდებლობის ეფექტიან აღსრულებაზე მეტყველებს.

შენიშვნა:

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ სტატისტიკური მონაცემები სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შეგროვებული და დამუშავებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზნებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით.

[16] ინციდენტების მაჩვენებელი გამოითვლება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიით ყოველ 100 000 დასაქმებულზე.

თავი 6. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამაზე ზედამხედველობა

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი, მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, შრომის უსაფრთხოების სფეროში დასახული ამოცანების შესრულების ეფექტური ორგანიზებისათვის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის №01-25/ნ ბრძანებით (შემდგომში №01-25/ნ ბრძანება) განსაზღვრულია ,,შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობა, განხორციელების წესი და პირობები". აღნიშნული ნორმების ეფექტურად აღსრულების მიზნით სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურში შექმნილია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე ზედამხედველობის ცენტრი, რომელიც შრომის ბაზარზე კვალიფიციური შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით ახორციელებს:

- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განხორციელების, საგამოცდო ცენტრის საქმიანობის მოპოვების, სასერტიფიკატო/საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების მიზნით სამსახურში რეგისტრირებული განცხადებების მართვას;
- აკრედიტებული პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციების საქმიანობის მონიტორინგს;
- აკრედიტებული პროგრამის საგამოცდო ცენტრების საქმიანობის მონიტორინგს;
- აკრედიტაციის კომისიის სამდივნოს საქმიანობას;
- თანამშრომლობას ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად აკრედიტაციის ცენტრი იყენებს სპეციალურად შექმნილ ელექტრონულ სისტემას.

6.1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციებისა და საგამოცდო ცენტრების შესახებ

საანგარიშო პერიოდში, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის <u>აკრედიტებული პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების/სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის უფლებამოსილების მიღების</u> მიზნით, სამსახურში მიღებული განცხადებების აკრედიტაციის კომისიის გადაწყვეტილებით №01-25/ნ ბრძანების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, იმავე მუხლის მეოთხე პუნქტისა და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სწავლების უფლება 3 წლის ვადით, სრული პროგრამის მიმართულებით, მოიპოვა **1-მა ორგანიზაციამ - შპს „შრომის უსაფრთხოების სასწავლო ჰაბი", (მისამართი: ქ. რუსთავი, ბალანჩივაძის ქ. №9).** აქვე აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისში არსებულ საგამოცდო ცენტრს შპს ,,ტრენინგ სფეის"-ს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის საგამოცდო ცენტრისთვის მინიჭებული მოქმედების 3 წლიანი ვადა ამოეწურა, რომლის შედეგადაც სასერტიფიკატო და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, გამოცხადდა ღია კონკურსი, რომლის შედეგად, **აკრედიტაციის კომისიის გადაწყვეტილებით, შპს „საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ"-ს (სეუ)** 3 წლის ვადით მიენიჭა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის საგამოცდო

ცენტრის სტატუსი მისამართზე: ქ. თბილისი, წინანდლის ქ. №9.

2024 წლის საანგარიშო პერიოდში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება **22 ორგანიზაციას 29 ლოკაციაზე**[17] ჰქონდა (ქ. თბილისში 21; ქ. ბათუმში 4; ქ. ქუთაისში 2; ქ. ზუგდიდში 1 და ქ. რუსთავში 1).

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის საანგარიშო პერიოდში სულ **სწავლება განახორციელა/ახორციელებს 11 ორგანიზაცია**, რომლის ფარგლებში შეიქმნა 40 ჯგუფი, 918 მსმენელით, რომელთაგან 712-მა მსმენელმა დაასრულა სასწავლო პროცესი და დაშვებულ იქნა სასერტიფიკატო გამოცდაზე, ხოლო 2018-2019 წლის კურსდამთავრებულთაგან, სასერტიფიკატო გამოცდაზე დაშვების მიზნით, სამსახურს 44-მა პირმა მიმართა.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მსმელთა რაოდენობა თბილისსა და სხვა ქალაქში 2024 წლის მონაცემებით ასახულია №27 დიაგრამაზე.

დიაგრამა №27

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე მსმენელთა რაოდენობა



წყარო: სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

6.2 სასერტიფიკატო გამოცდების შედეგები

შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მიღების მეორე ეტაპია აკრედიტებულ საგამოცდო ცენტრში სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება.

საანგარიშო პერიოდში განხილული და დამუშავებულ იქნა 11 სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მსმენელთა დოკუმენტაცია, სასერტიფიკატო გამოცდაზე დაშვების მიზნით. ასევე, იმ პირთა განაცხადების მიღება/დამუშავება, რომლებიც არიან შრომის უსაფრთხოების მოქმედი სპეციალისტები, მაგრამ მათ სერტიფიკატს გაუვიდა მოქმედების სამწლიანი ვადა და იმ პირები განცხადებების დამუშავება, რომლებიც არიან საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელები და ევალებათ

[17] სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია იხილეთ სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე: https://lio.moh.gov.ge/education.php?lang=1&uid=20230108191058711523138 6

ეროვნული კანონმდებლობის ჩაბარება სპეციალური აკრედიტებული პროგრამის შესაბამისად. აღნიშნულის შედეგად სასერტიფიკატო გამოცდაზე გავიდა 673 პირი.

№28 დიაგრამაზე ასახულია 2024 წლისთვის განხორციელებული სასერტიფიკატო გამოცდის შედეგები.

დიაგრამა №28

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამის სასერტიფიკატო გამოცდის შედეგები



წყარო: სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

ამგვარად, დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებიდან გამოიკვეთა, რომ 2022-2024 წლის კურსდამთავრებულთაგან გამოცდაზე გასულთა **28%** - მა, ხოლო 2018-2019 წლის კურსდამთავრებულთაგან **34** %-მა ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

№29 დიაგრამაზე თვალსაჩინოდაა ასახული 2023 წელს სასერტიფიკატო გამოცდაზე გასვლის შედეგად სერტიფიცირებულ და არასერტიფიცირებულ პირთა (2018-2019 წლის კურსდამთავრებულთა და 2022-2024 წლის კურსდამთავრებულთა) თანაფარდობა:

დიაგრამა №29

2023 წელს სასერტიფიკატო გამოცდაზე გასვლის შედეგად სერტიფიცირებულ/არასერტიფიცირებულ პირთა პროცენტული მაჩვენებელი



წყარო: სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

უნდა აღინიშნოს, რომ N01-25/ნ ბრძანების პირველი, მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად, გარდა ამ წესით დადგენილისა, პირს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის კვალიფიკაცია, ასევე, შესაძლებელია, მიენიჭოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით **ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების** მიერ, პროფესიული ან/და უმაღლესი განათლების ფარგლებში განხორციელებული ისეთი სასწავლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაშიც (გარდა ფორმალური განათლების ფარგლებში შემუშავებული პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი (1 წელზე მცირე) პროგრამებისა), რომლებიც პირდაპირ კავშირშია სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების დაცვასთან. ამ საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განისაზღვრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, №96/ნ ბრძანებით.

აღნიშნული კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულებს შეუძლიათ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობების შესრულება სასერტიფიკატო გამოცდების ჩაბარების გარეშე. სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით, **2024 წლის საანგარიშო პერიოდში** შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობების შესრულების უფლების მქონე **198 პირია,** რომელთაგან **194 არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის** ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ კურსდამთავრებული, **ხოლო 4 - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის** ,,პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ კურსდამთავრებული. გარდა ამისა, **2 პირზე** უფლებამისილება განისაზღვრა კომისიური წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №96/ნ ბრძანების შესაბამისად.

ამგვარად, ქვეყანაში სულ **704 პირს აქვს შესაძლებლობა,** შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები, საიდანაც სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით:

- **694 პირია** უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე, რომელთაგან 558 - არის პროფესიული განათლებით, 136 - უმაღლესი განათლებით, (სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2024 წელს მოწოდებული დაზუსტებული მონაცემები);
- **10 - პირი**, რომელთა უფლებამისილება განისაზღვრა კომისიური წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №96/ნ ბრძანების შესაბამისად.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა ერთიან ბაზაში აღრიცხულ შრომის უსაფრთხოების სპეციალიტების რაოდენობა 2024 წელს და სულ ქვეყანაში, ასახულია №6 ცხრილში

ცხრილი №6

2024 წელს და ჯამში ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა რაოდენობა

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა ერთიან ბაზაში სპეციალისტთა შესახებ ასახული ინფორმაცია		შ/უ სპეციალისტთა რაოდენობა 2024 წ.	შ/უ სპეციალისტთა რაოდენობა სულ
სულ		**648**	**3825**
1	2022 -2024 წელს სერტიფიცირებული კურსდამთავრებულები	438	1759
2	2018-2019 წელს კურსდამთავრებული სერტიფიცირებული და სამწალიანი გამოცდილების მქონე პირები	45	1362
3	96/ნ ბრძანების შესაბამისად, უმაღლესი/პროფესიული განათლების მქონე პირები	198	704

წყარო: სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

№30 დიაგრამაზე ასახულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა პროცენტული გადანაწილება.

დიაგრამა №30

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით - 3825



წყარო: სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

6.3 საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგები

სწავლების განმახორციელებელი პირისთვის კვალიფიკაციის მინიჭების პროცესის უზრუნველსაყოფად, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე ზედამხედველობის ცენტრის მიერ, წლის საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 3 სწავლების განხორციელების მსურველი პირის განცხადებების ნიღება და დამუშავება. **სამივემ საკვალიფიკაციო გამოცდა** სხვადასხვა მოდულის მიმართულებით წარმატებით ჩააბარა.

ამგვარად, სულ სასწავლო ორგანიზაციებს ყავს **132 სწავლების განმხორციელებელი პირი,** რომელთა შორის 77-ს მიენიჭა (გარდა ძირითადი მოდულებისა) უფლება განახორციელოს ტრენინგი შემდეგ მოდულებში:

- „ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარების მეთოდები და მიმართულებები“;

- „სპეციალური და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე დასაქმებულთათვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნა“;
- „პირველადი სამედიცინო დახმარება“ მოდულების სწავლების უფლება.

სწავლების განმახორციელებელ პირთა რაოდენობა სასწავლო მოდულების მიხედვით ასახულია №31 დიაგრამაზე.

დიაგრამა №31

2024 წლის საანგარიშო პერიოდისთვის სწავლების განმახორციელებელ პირთა რაოდენობა მოდულების მიხედვით



შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამით განსაზღვრული მოდულების შესაბამისად სწავლების განმახორციელებელ პირთა რაოდენობა	
1	შესავალი შრომის უსაფრთხოების მართვის საკითხებში
2	საქართველოს შრომის კოდექსი
3	შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი
4	ეროვნული საკანონმდებლო რეგულაციები შრომის სამართლის მიმართულებით
5	საერთაშორისო სტანდარტები შრომის უსაფრთხოების სფეროში
6	საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკის შეფასება და მართვა
7	საწარმოო უბედური შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევა
8	პროფესიული დაავადებები
9	ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება
10	ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაცია და უსაფრთხოების წესები
11	საწარმოო სათავსების მიკროკლიმატი

12	ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები
13	შრომის ჰიგიენა
14	უსაფრთხოების ნიშნები
15	გადაუდებელი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება
16	გარემოსდაცვითი საკითხები შრომის უსაფრთხოების სფეროში
17	ტვირთის გადატანა
18	სიმაღლეზე მუშაობა
19	აალებად და ფეთქებად ნივთიერებებთან მუშაობის სტანდარტები
20	შრომის უსაფრთხოება მანქანა-დანადგარებთან და მოწყობილობებთან
21	შრომის უსაფრთხოება სამშენებლო სექტორში
22	შრომის უსაფრთხოება სამთომოპოვებით და დამამუშავებელ მრეწველობაში
23	შრომის უსაფრთხოება მსუბუქ მრეწველობაში
24	შრომის უსაფრთხოება მომსახურების /სერვის სექტორში
25	შრომის უსაფრთხოება სამედიცინო სფეროში
26	ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარების მეთოდები და მიმართულებები
27	სპეციალური და განსაკუთრებული საჭიროების მქონე დასაქმებულთათვის ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა
28	პირველადი სამედიცინო დახმარება

წყარო: სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, 2024 წელი

თავი 7. ცნობიერების ამაღლების მიმართულებით გატარებული ღონისძიებები

შრომის ინსპექციის სამსახური „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით შრომითი ნორმების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვას უმნიშვნელოვანეს აქტივობად მიიჩნევს, ვინაიდან, ეს უკანასკნელი ერთ-ერთ პროაქტიულ ღონისძიებას წარმოადგენს და ხელს უწყობს შრომის უსაფრთხოების ნორმებისა თუ შრომის კოდექსით განსაზღვრული ნორმების დარღვევების პრევენციას. ცნობიერების ამაღლების აქტივობები მოიცავს საინფორმაციო კამპანიებისა და სხვა ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის, როგორიცაა დამსაქმებელებთან და დასაქმებულებთან საინფორმაციო შეხვედრები, სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობა, საკანონმდებლო სიახლეებსა თუ შრომითი ნორმების ზედამხედველობისას საქართველოში არსებულ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე. ტრენინგები, სასწავლო/საინფორმაციო ვიდეორგოლების მომზადება, სახელმძღვანელოების მომზადება და ბეჭდვა, საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება და გავრცელება, მიმდინარე სიახლეებისა და მნიშვნელოვანი საკითხების ფართო საზოგადოებისთვის გაზიარება სოციალური ქსელის , Youtube არხისა და ვებგვერდის საშუალებით.

სამსახურის მიერ 2024 წლის საანგარიშო პერიოდში შრომით ნორმებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ფარგლებში:

- ☐ განხორციელდა **525 საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრა,** მათ შორის:
  - **37** სამუშაო შეხვედრა - საერთაშორისო და ადგილობრივ უწყებებთან;
  - **8** საინფორმაციო შეხვედრა - ზოგადად სამსახურის საქმიანობის შესახებ;
  - **2** საინფორმაციო შეხვედრა - სტუდენტებთან ზოგადად სამსახურის საქმიანობის შესახებ;
  - **181** ობიექტზე - შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიმართულებით ცნობიერების ამაღლების ფარგლებში განხორციელდა ვიზიტი ქვეყანაში ოპერირებად დამსაქმებელთან, რომლის ფარგლებშიც კონსულტაცია შეეხო ჯამში 2230 დასაქმებულს;
  - **297** ობიექტზე - წინასაახალწლო დღეებში შრომითი უფლებების ეფექტურად აღსრულების მიზნით ცნობიერების ამაღლების ფარგლებში, სამუშაო დროსთან და ზეგანაკვეთურ შრომასთან დაკავშირებით განხორციელდა ვიზიტი მოლებში ოპერირებად დამსაქმებელთან, რომლის ფარგლებშიც კონსულტაცია შეეხო ჯამში 1563 დასაქმებულს. აქვე, აღსანიშნავია, რომ სამსახურის მიერ ჯამში მომზადდა და გაიგზავნა 186 სარეკომენდაციო წერილი.
- ☐ მომზადდა **49 საინფორმაციო მასალა,** მათ შორის:
  - **12 საინფორმაციო ვიდეორგოლი,** რომელიც გასაჯაროვდა ტელევიზიების, სოციალური ქსელებისა და სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით;
  - **17 საინფორმაციო ბუკლეტის ტექსტი,** რომელთაგან დაიბეჭდა/გამოქვეყნდა 4 თემატური ბუკლეტი, რომლის გავრცელება განხორციელდება 2025 წელს.
  - **3 სახელმძღვანელო დოკუმენტზე** მუშაობა დასრულდა, რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე;
  - **17 ნორმატიული აქტი** ითარგმნა ინგლისურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და გამოქვეყნდა სამსახურის ვებგვერდზე;

- ☐ **მომზადდა ელექტრონული სასწავლო კურსი** შრომის უსაფრთხოების თემატურ საკითხზე (დასაქმებული ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალებისთვის მავნე ან/და განსაკუთრებული რისკის შემცველი სამუშაო გარემოს შეფსების შესახებ), რომელიც ტექნიკური მოთხოვნების სრულყოფის შესაბამისად 2025 წელს იქნება ხელმისაწვდომი შრომის ინსპექტორებისა და საზოგადოებისთვის;
- ☐ სამსახურის საკონსულტაციო ცენტრის/ცხელი ხაზის **(1575)** მიერ **კონსულტაცია გაეწია 12 145 შემომავალს ზარს.**

7.1 საინფორმაციო შეხვედრები

2024 წელს შრომის ინსპექციის სამსახურის ერთ-ერთ მთავარ მიზნად რჩება შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების სფეროში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნებისა და მიმდინარე სიახლეების გაცნობა საზოგადოების წარმომადგენლებისთვის. ამ მხრივ, შრომის ინსპექციის სამსახური მუდმივ კოორდინაციაშია სხვადასხვა ორგანიზაციებთან, მათ შორის, ბიზნესის წარმომადგენლებთან, დასაქმებულთა გაერთიანებებთან და დასაქმებულებთან, რათა დაცული იყოს დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოება და უფლებები, მეორე მხრივ, კი დამსაქმებლებმა მარტივად შეძლონ არსებულ გამოწვევებთან გამკლავება.

საანგარიშო პერიოდში შრომის ინსპექციის სამსახურის ორგანიზებითა თუ პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით საზოგადოებისთვის რეგიონულ დონესა თუ სექტორულ ჭრილში შრომით ნორმებზე ცნობიერების ამაღლებისა თუ ამ მიმართულებით თანამშრომლობის მიზნით **525 საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრა ჩატარდა**, რომელიც ჯამში 4000-ზე მეტ პირს შეეხო.

7.2 საინფორმაციო ვიდეო რგოლები

შრომის ინსპექციის სამსახურის ერთ-ერთი მთავარი მიზანია დამსაქმებლებში, დასაქმებულებსა და ზოგადად ფართო საზოგადოებაში შრომის უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების თემებსა და საკანონმდებლო სიახლეებზე ინფორმაციის გავრცელება შემეცნებითი/საინფორმაციო ვიდეორგოლების მეშვეობით, რომელიც საზოგადოებას მიეწოდება ტელევიზიების, შრომის ინსპექციის ვებგვერდის, Facebook და YouTube პლატფორმების მეშვეობით.

საანგარიშო პერიოდში, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურმა გააგრძელა **საინფორმაციო კამპანია - „ინსპექტორის რჩევები“** და სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით დასაქმებულებში ცნობიერების ამაღლების მიზნით გაავრცელა **10 თემატური ვიდეორგოლი**, რომლებშიც უშუალოდ

შრომის ინსპექტორები მიმართავდნენ საზოგადოებას და აწვდიდნენ დეტალურ ინფორმაციას შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში, კამპანიის ფარგლებში აქცენტი გაკეთებული იყო **შრომითი ხელშეკრულებასთან, სამუშაო ადგილზე ტრეფიკინგის ამოცნობასთან და დისკრიმინაციასთან, სტაჟიორთა უფლებებთან და არასრულწლოვანთა შრომით უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.** ასევე, განხილული იყო **სამშენებლო ობიექტზე მომხდარი უბედური შემთხვევები, სწავლება-ინსტრუქტაჟის ჩატარებისა და კოლექტიური დაცვის საშუალებების გამოყენების მნიშვნელობასთან** დაკავშირებული თემები.

გარდა ამისა, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ინფორმირების მიზნით, "საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის N 36 დადგენილებაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლის ეხებოდა 2024 წლის 1 იანვრიდან სამედიცინო პერსონალისთვის სავალდებულო მინიმალური ხელფასის რეფორმის გაფართოებას, მომზადდა გრაფიკული ვიდეო რგოლი, რომელიც საზოგადოებას მიეწოდება ტელევიზიების, ვებგვერდის, „Facebook“ და „YouTube“ პლატფორმების მეშვეობით. სამსახურის მიერ, ასევე, მომზადდა ერთი ვიდეორგოლი იმის შესახებ, თუ რა ძირითად ინფორმაციას უნდა მოიცავდეს შრომითი ხელშეკრულება.

გარდა ამისა, სოლიდარობის ცენტრის (Solidarity Center Georgia office) პროექტის „ქალების ჩართულობა სამუშაო ძალაში“ ფარგლებში მომზადდა **სამი ვიდეორგოლი** სამუშაო ადგილზე ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულების პრაქტიკებისა და ზოგადად, შრომით ურთიერთობებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის შესახებ. ვიდეორგოლები მომზადდა ქართულ ენაზე, სომხური, აზერბაიჯანული და ინგლისური სუბტიტრებით. ვიდეორგოლების შექმნის მიზანია გაზარდოს ქალების სრულფასოვანი, თანასწორი და უსაფრთხო ჩართულობა სამუშაო ძალაში.

7.3 ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა



სამსახურისათვის ძალიან მნიშვნელოვანია დამსაქმებლებს და დასაქმებულებს ხელი მიუწვდებოდეთ შრომის სფეროში არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნებსა და სხვადასხვა ნორმატიულ აქტებზე, მათ შორის, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს, მათ მშობლიურ ენაზე. ამ მიზნით, ინგლისურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა შრომის კანონმდებლობასთან დაკავშირებული 17 ნორმატიული აქტი და განთავსდა სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე, შრომის კანონმდებლობის ბლოკში.[18]

7.4 პუბლიკაციები

საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტული მხარდაჭერით შემუშავდა და სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა 3 პუბლიკაცია[19]:

- 1. **გენდერულად პასუხისმგებლიანი შრომის ინსპექცია (ქართულ ენაზე);**

-2. **რასობრივი, ეთნიკური დისკრიმინაციის საქმეების ეფექტურად მოკვლევის სახელმძღვანელო (ინგლისურ და ქართულ ენებზე);**

3. - **დასაქმებული ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალებისთვის მავნე ან/და განსაკუთრებული რისკის შემცველი სამუშაო გარემოს შეფასების პრაქტიკული სახელმძღვანელო**, რომელიც ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

[18] შრომის კანონმდებლობის ბლოკი იხ. ბმულზე: https://lio.moh.gov.ge/low.php?lang=2

[19] პუბლიკაციები იხილეთ ბმულზე:
https://lio.moh.gov.ge/publication.php?lang=1&id=1&uid=20230108002220724278437 2

7.5 საინფორმაციო ბუკლეტები

ევროკავშირის საჯარო სამსახურების დამმობილების პროექტის „საქართველოში უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს გაუმჯობესება ევროკავშირის სტანდარტებისა და მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად“ მხარდაჭერით საანგარიშო პერიოდში დაიწყო მუშაობა სამსახურის მიერ შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების მიმართულებით შემუშავებულ 17 თემაზე ბუკლეტების მომზადება, რომლის შედეგად დაიბეჭდა 4000 ბუკლეტი ოთხ თემაზე: **შევიწროება სამუშაო ადგილზე; გონივრული მისადაგება; ზეგანაკვეთური სამუშაო; გენდერული სახელფასო სხვაობა.** აღნიშნული ბუკლეტები საინფორმაციო კამპანიებისა და სხვადასხვა შეხვედრების ფარგლებში გავრცელდება 2025 წლიდან. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების იმპლემენტაციის შესაბამისად საინფორმაციო ბუკლეტების შემუშავება და გავრცელება.

7.6 იმერეთის რეგიონული ოფისის გახსნა

სამსახური 2024 წელსაც აგრძელებს მატერიალურ-ტექნიკურ და ინფრასტრუქტურულ განვითარებას. ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიული ხელმისწავდომობის გაზრდის, ყველა სახის დარღვევაზე დროულ რეაგირებისა და პრევენციის მიზნით საჭირო ღონისძიებების ეფექტურად განხორციელებისათვის სამსახური წარმოდგენილია რეგიონულ დონეზე და აქვს აჭარისა და იმერეთის თემატური სამმართველოები შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების მიმართულებით, რომლებიც სამსახურის ძირითად მოვალეობას - შრომითი ნორმების აღსრულებაზე ზედამხედველობას ახდენენ რეგიონულ დონეზე და ექვემდებარებიან თემატურად ზედამხედველობის განმახორციელებელ დეპარტამენტებს.

2024 წლის აპრილის თვეში სამსახურმა ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირზე თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი რიგით მეორე რეგიონული ოფისი გახსნა, რომელიც დაფარავს, არამარტო იმერეთის რეგიონში არსებულ მუნიციპალიტეტებს, ასევე, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონებში მყოფ მუნიციპალიტეტებსაც.

იმერეთის რეგიონული ოფისის ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. ოფისი უზრუნველყოფილია ინსპექტირების განხორციელებისა და შედეგების დამუშავების საჭირო ყველა აუცილებელი ინფრასტრუქტურით, მათ შორის, მოქალაქეთა და სამართალდამრღვევთა შეხვედრის ოთახებით. ოფისი, ასევე, უზრუნველყოფილია დისტანციური შეხვედრებისა და ინსპექტირებისათვის შესაბამისი აღჭურვილობით.

სამსახური მომავალშიც გეგმავს სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით რეგიონულ გაფართოებას.

7.7 სამსახურის ცხელი ხაზის (15-75) საქმიანობის შედეგები

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი/ცხელი ხაზი 2022 წლის 2 მაისიდან შეუდგა საქმიანობას გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერითა და საქართველოს პროგრესული ფორუმის ჩართულობით, რომელიც სამსახურის სისტემაში 2023 წლიდანვე ადაპტირდა. აღსანიშნავია, რომ 2022 წლიდან ჯამში **30 000**-მდე შემომავალი ზარი აღირიცხა. წლების მიხედვით შემოსული და აღრიცხული ზარების რაოდენობა შემდეგნაირია:

- 2022 წელს **6 634 შემომავალი ზარი**;
- 2023 წელს **11 192 შემომავალი ზარი**;
- 2024 წელს **12 145 შემომავალი ზარი**.

რაც შეეხება, 2024 წლის საანგარიშო პერიოდში ცხელი ხაზის (15-75) მიერ 12 145 შემომავალი **ზარების შესახებ ინფორმაციას,** სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მანდატის გათვალისწინებით ასე გადანაწილდა ზარები თემატურად[20]:

4628	• კონსულტაცია შრომით უფლებებთან დაკავშირებით
2996	• ინსპექტირების პროცესთან/შედეგთან დაკავშირებით
1376	• შრომითი ნორმების დარღვევაზე საჩივრის წარმოდგენის პროცედურებთან დაკავშირებით
854	• შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამა
852	• სამსახურის მანდატთან დაკავშირებული საკითხები
830	• კონსულტაცია შრომის უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებით
288	• სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრებასთან დაკავშირებით
154	• ელექტრონულ სისტემასთან/პროდუქტთან დაკავშირებით
146	• უბედური შემთხვევის შეტყობინების/მოკვლევის პროცედურებთან დაკავშირებით
27	• საურავის/ჯარიმის დაკისრებასთან/გადახდასთან დაკავშირებით

№32 დიაგრამაზე წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ცხელ ხაზზე (15-75) შემოსული ზარების თანაფარდობა თემატიკის შესაბამისად.

[20] ჯამური რაოდენობა რამოდენიმე თემატური საკითხის კომბინაციას ითვალისწინებს, რომელიც ერთი ზარის ფარგლებში აღირიცხა

დიაგრამა №32

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ცხელ ხაზზე (15-75) 2024 წელს შემოსული ზარების თანაფარდობა თემატიკის შესაბამისად



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024წელი

აქვე, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი თემატური საკითხებიდან ქვეთემების დონეზე დამუშავებული მონაცემების გათვალისწინებით, უშუალოდ თემაზე - **კონსულტაცია შრომით უფლებებთან დაკავშირებით,** რომლის ფარგლებშიც აღირიცხა **4628 შემომავალი ზარი** (სრულად აღრიცხული შემომავალი ზარების 38 %) ქვეთემები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ზეგანაკვეთური შრომა - 248 ზარი; შრომის ანაზღაურება - 469 ზარი; დისკრიმინაცია - 401 ზარი; შვებულება - 526 ზარი; არასრულწოვანთა შრომა - 94 ზარი; დეკრეტული შვებულება - 430 ზარი;

მივლინება - 90 ზარი; სტაჟირება - 56 ზარი; ღამის სამუშაო - 31 ზარი; სამუშაო დრო - 237; შრომის უუნარობის პერიოდი - 175; სხვადასხვა უფლებები 1871.

№ 33 დიაგრამაზე წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ცხელ ხაზზე (15-75) თემის „კონსულტაცია შრომით უფლებებთან დაკავშირებით“ ფარგლებში შემოსული ზარების თანაფარდობა ქვეთემების შესაბამისად.

დიაგრამა № 33

„კონსულტაცია შრომით უფლებებთან დაკავშირებით“ თემის ფარგლებში შემოსული ზარების თანაფარდობა ქვეთემების შესაბამისად



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024წელი

„კონსულტაცია შრომის უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშრებით“ თემაზე შემოსული **830** ზარი [21] (სრულად აღრიცხული შემომავალი ზარების 6,8 %) შემდეგნაირად გადანაწილდა: ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება 68 ზარი; კოლექტიური დაცვის საშუალებების გამოყენება 54 ზარი;

[21] ჯამური რაოდენობა რამოდენიმე ქვეთემატური საკითხის კომბინაციას ითვალისწინებს, რომელიც ერთი ზარის ფარგლებში აღირიცხა

სწავლებებისა და ტრენინგების ჩატარების ვალდებულება 10 ზარი; დაზღვევის ვალდებულება 81 ზარი; ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის ვალდებულება 127 ზარი; შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ყოლის ვალდებულება 189 ზარი; დამსაქმებლის სხვადასხვა ვალდებულებები 353 ზარი.

№ 34 დიაგრამაზე წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ცხელ ხაზზე (15-75) თემის „კონსულტაცია შრომით უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებით“ ფარგლებში შემოსული ზარების თანაფარდობა ქვეთემების შესაბამისად.

დიაგრამა № 34

„კონსულტაცია შრომით უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებით“ თემის ფარგლებში შემოსული ზარების თანაფარდობა ქვეთემების შესაბამისად



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024წელი

აქვე აღსანიშნავია, რომ **მომმართველის ტიპის** მიხედვით 2024 წლის საანგარიშო პერიოდში აღირიცხა დამსაქმებლის მიერ განხორციელებული 7762 ზარი; დასაქმებულის მიერ განხორციელებული 2658 ზარი; შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ განხორციელდა 331 ზარი, ხოლო 1394 ზარის შემთხვევაში სტატუსის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.

№ 35 დიაგრამაზე წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ცხელ ხაზზე (15-75) შემოსული ზარების რაოდენობა სქესისა და მომმართველის ტიპის შესაბამისად:

დიაგრამა № 35

საანგარიშო პერიოდში სქესისა და მომმართველის ტიპის მიხეედვით სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ცხელ ხაზზე (15-75) შემოსული ზარების რაოდენობა



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2024წელი

თავი 8. სამომავლო გეგმები

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის სამომავლო ხედვასა და სტრატეგიას განსაზღვრავს ეროვნულ დონეზე შემუშავებული პოლიტიკური დოკუმენტები, რომელიც მზადდება და ინიცირდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სამსახურის ჩართულობით. 2021-2024 წლების საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობისა და დაგეგმილი აქტივობების შეჯამების საფუძველზე, ასევე, შრომის კანონმდებლობის ეფექტიანობისა და უწყების საქმიანობის ეფექტურად განხორციელების მიზნით დაგეგმილია:

- ☐ ზედამხედველობის ფარგლებში პროაქტიულად შესამოწმებელი ობიექტების ნუსხის განსაზღვრა და შესაბამისი ინსპექტირებების განხორციელება მანდატის შესაბამისად, ასევე, თანმდევი საქმეებზების შესწავლა;
- ☐ შრომის ინსპექციის საქმიანობასა და საკანონმდებლო სიახლეებზე საზოგადოების, მათ შორის, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი აქტივობების განხორციელება;
- ☐ საქართველოს შრომის კანონმდებლობის დასახვეწად და მისი გამოყენების გასაუმჯობესებლად წინადადებების შემუშავება, მათ შორის, სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული დირექტივების იმპლემენტაციის ხელშეწყობა;
- ☐ სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების კვალდაკვალ, სტრუქტურული დახვეწა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, საკადრო რესურსების გაზრდა და პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
- ☐ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მუდმივი მონიტორინგი და საჭიროებების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირება;

სურათი N1

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის სტრუქტურა



ცხრილი №1

ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (სეკ-2016) შესაბამისად (NACE REV. 2)

სექცია	სექციის დასახელება
A	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა
B	სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება
C	დამამუშავებელი მრეწველობა
D	ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება
E	წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები
F	მშენებლობა
G	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი
H	ტრანსპორტი და დასაწყობება
I	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები
J	ინფორმაცია და კომუნიკაცია
K	საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები
L	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები
M	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები
N	ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები
O	სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება
P	განათლება
Q	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები
R	ხელოვნება, გართობა და დასვენება
S	სხვა სახის მომსახურება
T	შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არაიდენტიფიცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის
U	ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები

DRAFT

ცხრილი №2

2024 წლის საანგარიშო პერიოდში ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე განხორციელებული პირველადი ინსპექტირებების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად გაცემული 18 551 მითითების გადანაწილება

ობიექტზე სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე სრულად არ არის ჩატარებული სწავლება/ინსტრუქტაჟები	1498
დასაქმებულები სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე სრულად არ არიან აღჭურვილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით	1339
ობიექტზე სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე სრულად არ არის შეფასებული რისკები	1298
ობიექტზე სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე სრულად არ არის განთავსებული უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვის ნიშნები	1107
ობიექტზე არ არის შემოწმებული ტექნიკური აღჭურვილობა	1028
ობიექტზე არ არის განთავსებული პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი	855
ობიექტს არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	817
ობიექტზე არ წარმოებს საწარმოო უბედური შემთხვევების/ პროფესიული დაავადების აღწერა	815
ობიექტზე არ არის გამოყოფილი ალკოჰოლზე და ნარკოტიკულ თრობაზე პასუხისმგებელი პირი	777
ობიექტზე არ არის განსაზღვრული პასუხისმგებლობები/ფუნქციები	752
არ არის შემუშავებული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა	717
ობიექტი არ არის აღჭურვილი კოლექტიური დაცვის საშუალებებით	708
ობიექტზე არ წარმოებს ფიზიკური ფაქტორების გაზომვა	647
დასაქმებული არ არის უზრუნველყოფილი უბედური შემთხვევის დაზღვევით	553

ობიექტზე დარღვეულია ერგონომიკა	471
ობიექტზე არ წარმოებს პოლიტიკის დოკუმენტი	383
ობიექტზე გამოიყენება კუსტარულად დამზადებული და არასწორად აგებული ხარაჩოები	369
დასაქმებულს არ უტარდება წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება	347
ობიექტზე არ არის განთავსებული მოაჯირები	339
ობიექტზე არ არის დაცული სანიტარულ–ჰიგიენური ნორმები	298
ქიმიური ნივთიერებები გამოიყენება შესაბამისი ეტიკეტირების გარეშე	280
არ არსებობს კოლექტიური დაცვის საშუალებები	267
ელექტრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებს არ აქვთ შესაბამისი ჯგუფის დამადასტურებელი დოკუმენტი	247
ობიექტზე გამოიყენება კუსტარულად დამზადებული კიბე	242
ობიექტზე არ არის დაფარული ღიობები	222
ობიექტზე არ არის გამოყოფილი საშიში ზონები	204
არ არის დაცული ტვირთის ხელით აწევის მინიმალური მოთხოვნები	195
არ არის შეფასებული ინდივიდუალური დაცვის საშუალების შერჩევამდე რისკები	170
არ ხორციელდება ხარაჩოების, დამცავი ღვედების, კიბეების, სამუშაო პლატფორმების პერიოდული შემოწმება	119
ობიექტზე ელ. გამანაწილებელი მოწყობილობები ღია მდგომარეობაშია	117
შევსებული და ცარიელი მაღალ წნევაზე მომუშავე ჭურჭელი არ არის შენახული კანონის შესაბამისად	114

სამუშაო სპეციპიკიდან გამომდინარე დასაქმებულები და სხვა პირები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ გამოსაცვლელი ოთახებით	107
ობიექტს არ აქვს შრომის უსაფრთხოების გეგმა	94
ობიექტზე დარღვეულია ჟანგბადისა და თხევადი აირის ბალონების დასაწყობების წესი	83
ამწე მოწყობილობებს არ გააჩნია შესაბამისი უსაფრთხოების სერთიფიკატი	83
ობიექტს არ აქვს სამაშველო გეგმა	68
სამუშაო ადგილების რეგულარული დასუფთავება	64
უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნები	58
არასრულადაა განთავსებული უსაფრთხოების ბადეები და არ არსებობს მათი შემოწმების დოკუმენტი	51
სამშენებლო მოედანი არ არის შემოღობილი	48
დარღვეულია სტერილიზაციის წესები	48
არ არსებობს ამწის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი	31
ობიექტზე დიელექტრიკული დაცვის საშუალებების საექსპლუატაციო ვადა დარღვეულია	29
ამწის კაბინა არ არის მოწყობილი შესაბამისი წესით	24
დარღვეულია განწესით მუშაობის წესი	21
სხვა	447

DRAFT